პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ. უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 107 (18649) კვირა, 8 მაისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გეორგიევსკის ტრაქტატი—200: შეჯიბრება გვიხმობს!

## ხუთწლედი-წელი მესამე

### თესვა დაამთავრეს

წითელწყაროს რაიონის მხვნელ-მთესველები, ჩაებნენ რა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებებს აღწევენ მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა საგაზაფხულო კულტურების თესვის საგეგმო დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. 20.500 ჰექტარის ნაცვლად, დათესილია 20.600 ჰექტარი.

ეს რედაქციას აცნობა წითელწყაროს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ი. ფიროსმანაშვილმა.

### აჭარაში დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა

ბათუმი. აჭარაში დაიწყო ჩაის კრეფა. ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის მოსავლის შერჩევით კრეფას პირველი შეუდგნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის კოლმეურნეები.

— შარშან, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ბარამიძემ, — უხვი მოსავალი მოვიწიეთ — 1150 ტონა ჩაის ნედლეული, გეგმით გათვალისწინებულზე 50 ტონით მეტი. წელს ჩაის ფოთოლი შარშანდელზე გაცილებით ადრე შემოვიდა. ბუჩქები კარგად ვითარდება და უველა საფუძველი გვაქვს შარშანდელთან შედარებით ჩაის უფრო უხვი მოსავალი მოვიწიოთ. ვაპირებთ 1160 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფას.

პირველივე დღეს მკრეფავებმა მ. ღლონტიძემ, გ. პარტენაძემ, ე. შაქარიშვილმა და სხვებმა ერთიორად გადააჭარბეს ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფის პერიოდის ნორმებს.

მიმდინარე წელს აჭარის მეჩაიეებმა ვალდებულება აიღეს მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 70.200 ტონა ჩაის ფოთოლი — გეგმით გათვალისწინებულზე 4.120 ტონით მეტი. (საქინფორმი).

## ჩვენს ქვეყანაში

გვატყობინებენ საქდესის კორესპონდენტები

### ● წიაღის მზვერავები

აზერბაიჯანის სსრ. ფილიზჩაის გეოლოგიურ-სადაზვერვო პარტიის კოლექტივი, რომელიც ზვერავს კოლჩედან-პოლიმეტალის საბადოებს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება რესპუბლიკის გეოლოგიის სამმართველოს ექსპედიციათა შორის.

წიაღის მზვერავები მუშაობენ მაღალმთიანეთის რთულ პირობებში, სადაც არცთუ იშვიათია ღვარცოფი, თოვა, ზვავი. გეოლოგები ზრუნავენ ახლომახლო ნაკრძალი ტყის დაცვისათვის და ამიტომ სპეციალური ჰორიზონტული შტოლნებიდან ბურღავენ მიწისქვეშა ჭაბურღილებს. ეს მნიშვნელოვნად აჩქარებს სადაზვერვო სამუშაოთა ტემპს, ამცირებს დანახარჯებს. თანამედროვე ტექნიკით პარტიის აღჭურვის შედეგად გაიზარდა გეოლოგთა შრომის ნაყოფიერება, ყველა დავალება ზუსტად გრაფიკის მიხედვით სრულდება.

სურათზე: პარტიის უფროსი ნადირ მუსაევი (მარჯვნივ) და მთავარი ინჟინერი ლაზი გაჯიქერიმოვი.



### ● წყალი — უდაბნოს

თურქმენეთის სსრ. იქ, სადაც დაკლაკნილი მურღაბი თავს აღწევს შემოჯარულ გორაკებს და ხეობაში მიედინება, აღიმართა გიგანტური კედელი, რომელმაც გზა გადაუღობა მდინარეს. აქ შენდება სარი-იაზის წყალსაცავი, რესპუბლიკის უდიდესი ხელოვნური წყალსატევი. მთავრდება მისი პირველი რიგის მშენებლობა. ახლა ხუთკილომეტრიანმა კაშხალმა უკვე მიაღწია საპროექტო ნიშნულს. მთავრდება სამუშაოები რაბზე და წყალსაშვებ ნაგებობაზე.

ობიექტს აშენებს „მურღაბრემწყალმშენის" ტრესტის მემონტაჟეთა ერთ-ერთი კოლექტივი.

სურათზე: სარი-იაზში მშენებარე ჰიდროკვანძის საერთო ხედი.



### ● ჯანმრთელობის ცენტრი

ნოვოსიბირსკში იქმნება ციმბირის უდიდესი ჯანმრთელობის ცენტრი — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტი.

საექსპლოატაციოდ გადაეცა კლინიკის პირველი კორპუსი, რომელშიც განლაგდა ლაბორატორიები და დიაგნოსტიკის სამსახურები.

ახალი კლინიკის მთავარი მიზანია ადამიანის აქტიური შრომისუნარიანობის მრავალი წლით შენარჩუნება, მისი ჯანმრთელობის რეზერვების გამოვლენა.

* * *

სურათზე: ფუნქციონალური დიაგნოსტიკის ლაბორატორიაში. ლაბორანტი ლ. აპლაკანსკაია იკვლევს ავადმყოფს.



### ● სრულყოფენ სამრეწველო რობოტებს

მოსკოვი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის პრობლემათა ინსტიტუტის მართული სისტემების მექანიკის განყოფილებასა და რობოტ-ტექნიკის ლაბორატორიაში მიმდინარეობს სამრეწველო რობოტების დინამიკის ფუნდამენტური კვლევა, ამასთან ფართოდ იყენებენ სამამულო გამოთვლით ტექნიკას.

სურათზე: ასპირანტი ა. გუკასიანი (მარცხნივ) და რობოტტექნიკის ლაბორატორიის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. გრადეცკი მსჯელობენ სამრეწველო რობოტების „გაგრძნობიერებული" ჩაჭიდების მახასიათებლებზე.

### ● ვაახლებთ ასორტიმენტს

კალინინის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების კიმრის ფეხსაცმლის ფაბრიკის „წითელი ვარსკვლავის" მარკიანი ნაკეთობების ასორტიმენტი 250 მოდელს აჭარბებს. მათ შორის არის ლამაზი საზაფხულო ტუფლიც, საბავშვო ფეხსაცმელიც, მამაკაცის დაბალყელიანი ფეხსაცმელიც და მემონტაჟეების, ალპინისტების, პარაშუტისტების სპეციალური ფეხსაცმელიც.

განსაკუთრებული მოთხოვნაა საკროსე ფეხსაცმელზე. 1983 წელს მისი გამოშვება ერთ-ნახევარჯერ გაიზრდება.

სურათზე: მხატვარ-მემოდელეები გ. ბლინოვა (მარჯვნივ) და ა. სემიონოვა უჩვენებენ კიმრულ ფეხსაცმელს.






კუზოვლევო (ტომსკის ოლქი). ციმბირის უდიდესი სასათბურე საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის „კუზოვლევსკის" ყველა რგოლში დანერგეს ბრიგადული იჯარა. ამან მიწათმოქმედებს საშუალება მისცა მნიშვნელოვნად გაედიდებინათ ბოსტნეულის წარმოება. ამიერიდან შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია უშუალოდ პროდუქციის მიღებაზე, აგრეთვე სითბოს, წყლის, ენერგორესურსების ეკონომიაზე. კოლექტივში განმტკიცდა ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა.

რატნო (ვოლინის ოლქი). რატნოს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭომ სოფლქიმიის სამსახურს ტორფის დამზადება დაავალა რაიონის ყველა მეურნეობისათვის. ამ და მთელი რიგი სხვა სამუშაოების ცენტრალიზაციამ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გაათავისუფლა დიდი დამატებითი საზრუნავისაგან, მშრომელებს საშუალება მისცა კონკრეტულად შეუდგნენ მთავარი ამოცანების გადაწყვეტას: აითვისონ და გაზარდონ დამრობილი მიწების უკუგება.

აშხაბადი. ჩარჯოუს ოლქის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის სოციალისტური შრომის გმირის დ. ხალმურადოვას ბრიგადის წევრებმა უზბეკ მებამბეებს გაუზიარეს ბამბის მოვლა-მოყვანის პროგრესული ხერხები. ბუხარის ოლქის ნავოის სახელობის კოლმეურნეობის დ. ბეგიევასა და დ. ხალმურადოვას ბრიგადებმა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის შედეგების შეჯამების დროს გაითვალისწინებენ აგრეთვე შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვას.

ერევანი. ერევანში გაიხსნა გამოფენა, რომელიც დამთვალიერებლებს აცნობს სომხეთის ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებას. ექსპოზიციაში წარმოდგენილია ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება. გამოფენის ძირითადი თემაა მშვიდობიანი შრომა მშვიდობიან მიწაზე.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# კვაისი: ცვლილებათა ხანა

კვაისი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მაღაროელთა პატარა დაბა — ამ დღეებში თითქოს ხელახლა დაიბადა. აქ აღმოაჩინეს ტყვია-თუთიის მადნეულის ახალი მდიდარი საბადოები. მათ ბაზაზე შენდება ახალი უბნები, დაბაში იგება მრავალსართულიანი სახლები, სკოლები, ახალგაზრდული კლუბი, სპორტული და სხვა ნაგებობანი.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981–1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებულია ფერად მეტალურგიაში უზრუნველყოთ მოქმედ საწარმოთა ნედლეულის ბაზის განმტკიცება, აგრეთვე მისი შემდგომი უპირატესი განვითარება. რესპუბლიკაში ამ და სხვა ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას ხელს უწყობს რესპუბლიკური ორგანოებისა და საერთო-საკავშირო სამინისტროების თანამოქმედება, ცალკეული დარგების განვითარების ერთობლივად შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელება. კვაისის მაღაროთსამმართველოს შემდგომი განვითარების ორმხრივი ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობა განიხილა თავის სხდომაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგთა და საწარმოთა განვითარების ეფექტიანობის ამაღლების საკითხთა სამუშაო ჯგუფმა, რომლის თავმჯდომარეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა, კვაისის მაღაროთსამმართველოს დირექტორმა მ. ა. მარღიევმა, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ვ. ტ. გოგოლაძემ, საკავშირო საწარმოო გაერთიანების „საკპოლიმეტალის" უფროსმა ი. პ. ჩერკასოვმა. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

სხდომის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

აღინიშნა, რომ გასული წლის ნოემბრიდან მოყოლებული, კვაისის მაღაროთსამმართველოს საქმიანობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. მაღაროთსამმართველო სტაბილურად ასრულებს გეგმებს, ხოლო მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით იგი დარგის საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად არის ცნობილი. საგრძნობლად შემცირდა კადრების დენადობა, რომელმაც მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში შეადგინა 1,8 პროცენტი 1981 წლის 21.5 პროცენტის ნაცვლად. საწარმოში და დაბაში ბრუნდებიან წარმოებიდან წასული სპეციალისტები. დაიწყო მადნის მოპოვება ახალ ჰორიზონტებზე. მშენებლობის ტემპის დაჩქარების მიზნით კვაისში შექმნილია № 11 ტრესტის სამშენებლო უბანი, რომლის სამუშაოთა წლიური მოცულობა 1,2 მილიონ მანეთს შეადგენს.

ბევრი რამ კეთდება მოპოვებისა და სამთო-გასაყვან სამუშაოთა სრულყოფისათვის, შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისათვის. ამას ხელს უწყობს ხელშეკრულებანი, რომლებიც დადებულია მაღაროთსამმართველოსა და სამეცნიერო-კვლევითს, საპროექტო ინსტიტუტებს „ფერადლითონს", „კავფერადლითონსახპროექტს", ჩრდილოეთ კავკასიის სამთო-მეტალურგიულ, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტებს შორის.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს კვაისის მომავალს, წარმოადგენს მაღაროთსამმართველოს მშრომელებისათვის საჭირო საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. 1982 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 165-ბინიანი სამი საცხოვრებელი სახლი, 100-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი. მიმდინარე წელს ჩაბარდება 175-ბინიანი კიდევ ოთხი სახლი, გაუმჯობესდება კომუნალური სამსახურების, ტელევიზიის, რადიოსა და სატელეფონო ქსელის მუშაობა. დაიწყო ცენტრალური საქვაბის მშენებლობა, მიმდინარეობს გზების კეთილმოწყობა.

მაგრამ, აღინიშნა სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, საიჯარო ორგანიზაციები სრულად ვერ ითვისებენ საწარმოო და სამოქალაქო მშენებლობისათვის გამოყოფილ სახსრებს. ნელა მიმდინარეობს ნაპირსამაგრ და სხვა ნაგებობათა მშენებლობა. საჭიროა მნიშვნელოვნად გაძლიერდეს მეთვალყურეობა, რათა სამუშაოები ზუსტად პროექტების შესაბამისად სრულდებოდეს.

სამუშაო ჯგუფის სხდომამ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს მოსთხოვა გააძლიეროს ორგანიზატორული და პარტიული მუშაობა, რათა ხელი შეუწყოს კვაისის მაღაროთსამმართველოს სტაბილიზაციასა და შემდგომ განვითარებას, განამტკიცოს შრომისა და საწარმოო დისციპლინა, გააუმჯობესოს მუშათა საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები, უფრო ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება, უზრუნველყოს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება. (საქინფორმი).

## პირველ ადგილზე

თბილისი, („კომუნისტის" კორ.). მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის პირველ კვარტალში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და დარგის პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა კონიაკის ქარხნის კოლექტივი ცნო გამარჯვებულად და გარდამავალ წითელ დროშასთან ერთად პირველი ფულადი პრემიით დააჯილდოვა.

ეს სასიხარულო ცნობა მოსკოვიდან ამ დღეებში მიიღეს საწარმოში. ამასთან დაკავშირებით ქარხნის დირექტორმა ო. რობაქიძემ განაცხადა: — წლეულს საწარმომ უნდა გამოუშვას 120 მილიონ 353 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, ანუ 54,9 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან.

პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 28 მილიონ 454 ათასი მანეთის ნაცვლად გამოვუშვით 29 მილიონ 146 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რითაც გეგმა 102,4 პროცენტით შევასრულეთ. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ნორმატიული წმინდა პროდუქციის საგეგმო მაჩვენებელს 3,2 პროცენტით გადავაჭარბეთ, ხოლო რეალიზაციის დავალება—ხელშეკრულებებისა და ვადების მიხედვით, პირნათლად შევასრულეთ. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ყველა სხვა ეკონომიკური მაჩვენებელიც.

დამკვრელური ვახტი გრძელდება.

# გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ერიხ ჰონეკერს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვილი შტოფს ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 38 წლისთავის გამო.

დეპეშაში ნათქვამია:

ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვებას სამართლიანად უკავია თვალსაჩინო ადგილი ისტორიაში. მან გამოიწვია ღრმა ცვლილებები ბევრი ხალხის ბედში, მსოფლიოს სოციალურ სახეში. 1945 წლის დაუვიწყარმა მაისმა ახალი ფურცელი ჩაწერა აღმოსავლეთ გერმანიის მშრომელთა ცხოვრებაში. აირჩიეს რა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის გზა, ნათქვამია დეპეშაში, მათ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნეს ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელმაც თავის დროშებს წააწერა სიტყვები „მშვიდობა" და „სოციალიზმი".

კარლ მარქსის წელს განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავთ დიდ წარმატებებს, რომლებსაც მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის მიერ ნაჩვენები გზით მიმავალმა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მიაღწია. განვითარებული ეკონომიკა, მოწინავე მეცნიერება და ტექნიკა, მოსახლეობის ცხოვრების მაღალი მატერიალური და კულტურული დონე —აი რა განსაზღვრავს დღეს თქვენი რესპუბლიკის სახეს. სოციალიზმი გერმანიის მიწა-წყალზე ადასტურებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დიად ამშენებლობით ძალას.

მუშათა და გლეხთა პირველი გერმანული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და განვითარება განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების ძმური კავშირის მუდმივ გაღრმავებასთან, რასაც საფუძვლად უდევს საერთო მიზნები, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულება. მეგობრობისა და თანამშრომლობის იდეები მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მილიონობით მშრომელის შეგნებაში. ისინი გადაიქცნენ მატერიალურ ძალად, რომელიც ორივე ქვეყანას ეხმარება წარმატებით გადაწყვიტოს მათ წინაშე დასახული სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

ჩვენი ხალხების ურღვევი ძმური კავშირის ახალი დამაჯერებელი დემონსტრაცია იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი საბჭოთა კავშირში. ამ ვიზიტის შედეგები უთუოდ ხელს შეუწყობს ჩვენი პარტიებისა და სახელმწიფოების ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ იმ წვლილს, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შეაქვს სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის პროგრამის რეალიზაციაში, მსოფლიო ასპარეზზე მოძმე ქვეყნების შეთანხმებული კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლის მიზანია ომის საფრთხის თავიდან აცილება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღება.

საზეიმოდ აღვნიშნავთ რა ფაშიზმზე გამარჯვების 38 წლისთავს, ჩვენს მეგობარსა და მოკავშირეს — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ვუსურვებთ ახალ მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, მარქს-ენგელს-ლენინის დიადი იდეების გამარჯვებისათვის ჩვენს საერთო ბრძოლაში. (საქდესი).

# გვილოცავენ დღესასწაულს

ამხანაგები ე. ჰონეკერი და ვ. შტოფი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის სახელით ი. ვ. ანდროპოვსა და ნ. ა. ტიხონოვს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე მთელ საბჭოთა ხალხს ძმურად მიესალმებიან და გულითადად ულოცავენ დიდ სამამულო ომში საბჭოთა არმიის გამარჯვებისა და ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 38 წლისთავს.

ამ დღეს მთელი პროგრესული კაცობრიობა იხსენებს საბჭოთა ხალხის აურაცხელ მსხვერპლს, ნათქვამია დეპეშაში, რომლის უსაზღვრო გმირობა სამუდამოდ დარჩება ადამიანთა მეხსიერებაში. ჰიტლერულ ფაშიზმზე საბჭოთა კავშირისა და მისი მამაცი შეიარაღებული ძალების მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ ბევრ ხალხს დაუსახა სოციალიზმის, ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ნათელი პერსპექტივები. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის ქვეყანასთან მჭიდრო კავშირით ამ შესაძლებლობას ხორცი შეესხა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც.

კარლ მარქსის წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ფაშიზმზე გამარჯვების 38 წლისთავს დღესასწაულობენ ახალი ინიციატივების ნიშნით, რომელთა მიზანია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება. ისინი პატივს სცემენ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლისა და გერმანელი ხალხის უდიდესი წარმომადგენლის ხსოვნას, ყოველმხრივ განამტკიცებენ თავიანთ სახელმწიფოს, როგორც ევროპის ცენტრში მშვიდობის საიმედო ბურჯს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტები და ყველა მოქალაქე სულითა და გულით ულოცავენ საბჭოთა ხალხს შესანიშნავ წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. სსრ კავშირი წარმატებით ასრულებს საზოგადოებრივი პროგრესის პიონერის, მშვიდობის, სოციალიზმის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მძლავრი ბურჯის ისტორიულ მისიას.

საერთაშორისო განვითარების მიმდინარეობა დამაჯერებლად მოწმობს, რომ არსებობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული წრეების საშიში გეგმების ჩაფუშვის ყველა წანამძღვარი. ამის გადამწყვეტი გარანტიაა სოციალისტური სახელმწიფოების თანამეგობრობის, მათი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება, მათი კოორდინირებული საგარეო პოლიტიკური მოქმედება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მთლიანად და სავსებით მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ კურსს. სსრ კავშირის კონსტრუქციული ინიციატივები, რომელთა მიზანია საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პრაღის დეკლარაცია გვიჩვენებენ ომის საშიშროების შემცირებისა და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების რეალურ და მისაღებ გზას.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც არის ევროპის ცენტრში, სოციალიზმისა და იმპერიალიზმის მიჯნაზე, კვლავაც მთელ ძალ-ღონეს მოახმარს ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებას.

ძვირფასო ამხანაგებო!

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ოფიციალურმა ვიზიტმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, აზრთა ნაყოფიერმა გაზიარებამ და გულითადმა შეხვედრებმა ახალი ძალით ცხადყო ჩვენი ხალხების ძმური კავშირის ურყეობა და მეგობრობის სიმტკიცე. დარწმუნებული ვართ, რომ ვიზიტის შედეგები მნიშვნელოვან იმპულსს მისცემს სოციალიზმისა და მშვიდობის ინტერესებისათვის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების პროცესს.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ვუსურვებთ მთელ საბჭოთა ხალხს ახალ დიდ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. (საქდესი).

# ვიზიტი დამთავრდა

5 მაისს ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დ. ა. კუნაევი ესაუბრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას, რომელსაც ე. ჰონეკერი მეთაურობს. მან გერმანელ ამხანაგებს გააცნო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ე. ჰონეკერმა ილაპარაკა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მუშაობაზე პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომელმაც დასახა ახალი ამოცანები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ქვეყნის ეკონომიკურ და მეცნიერულ-კულტურულ მიღწევებზე. ჩვენ მივესალმებით ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ წამოყენებულ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, ხაზგასმით აღნიშნა მან. ამ ინიციატივებმა უკვე მოიპოვა ფართო საერთაშორისო რეზონანსი. თავის მხრივ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველ ღონეს იხმარს მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ალმა-ათა, 6 მაისი. (საქდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის მეთაურობით წარმოგზავნილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია დღეს განაგრძობდა ყაზახეთის ღირსშესანიშნაობათა გაცნობას.

გულთბილად, ძმურად შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოგზავნილთ ალმა-ათის ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის სახელობის ბამბეულის კომბინატის მუშამოსამსახურენი. კოლექტივის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰ. მიტაგი.

ე. ჰონეკერმა, დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს მაღალი მთის მედეოს სპორტული კომპლექსი.

დელეგაციასთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საუზმე გამართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად.

ნაშუადღევს დელეგაცია ტაშკენტს გაემგზავრა.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს დ. ა. კუნაევმა, ყაზახეთის სხვა ხელმძღვანელებმა.

ტაშკენტი, 6 მაისი (საქდესი). დღეს ე. ჰონეკერის მეთაურობით წარმოგზავნილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია უზბეკეთის დედაქალაქში ჩამოვიდა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს გულითადად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საუბარი ე. ჰონეკერთან, დელეგაციის სხვა წევრებთან.

შ. რ. რაშიდოვმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი სსრ კავშირში, მოსკოვის მოლაპარაკება, რომელმაც სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა, ჩვენი პარტიების, სახელმწიფოებისა და ხალხების ერთიანობისა და ძმური თანამშრომლობის კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა. მან სტუმრებს გააცნო უზბეკეთის მშრომელთა წარმატებანი.

ე. ჰონეკერმა თქვა, რომ მოსკოვში გაიმართა ნაყოფიერი აზრთა გაზიარება ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვთან, საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელებთან. ყველა განხილულ საკითხში, რომლებიც ორმხრივ ურთიერთობასა და საერთაშორისო პრობლემებს შეეხებოდა, ჩვენი აზრი ერთსულოვანი იყო, თქვა მან.

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სადილი გამართეს სტუმრების პატივსაცემად.

ტაშკენტი. ტაშკენტის ოლქის კომუნისტური რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზის" მშრომელები ყვავილებით, ეროვნული მუსიკითა და ცეკვით შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი.

ე. ჰონეკერმა მადლობა გადაიხადა გულთბილი და გულითადი შეხვედრისათვის. ჩვენი ხალხები, თქვა მან, ერთიან მწყობრში იბრძვიან მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

მიწათმოქმედთა წინაშე გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ფელფე. მან აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტი სსრ კავშირში კიდევ ერთხელ მკაფიოდ მოწმობს ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას. ჩვენი დელეგაციების წარმატებულმა მოლაპარაკებამ ამხანაგების ი. ვ. ანდროპოვისა და ე. ჰონეკერის მეთაურობით, თქვა მან, საუბრებმა და შეხვედრებმა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს ცხადყო ჩვენი შეხედულებებისა და მისწრაფებების ერთიანობა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

7 მაისს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით, ტაშკენტიდან ბერლინს გაემგზავრა.

აეროდრომზე იგი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ვ. რუსაკოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქდესი).

# უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

საქდესი იუწყება

## მშვიდობისა და უშიშროებისათვის

[illegible] თბირის დეკლარაციაში, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში.

კრების მონაწილეებმა მიმართვა გაუგზავნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს. მათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოუწოდეს იმოქმედოს უფრო ეფექტიანად და მიზანმიმართულად, რათა შეწყდეს დამღუპველი გამალებული შეიარაღება. მადრიდის შეხვედრაზე წარგზავნილი დელეგაციებისადმი დეპეშაში გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ ევროპას ომის საფრთხე შეექმნა. დოკუმენტში ხაზგასმულია იმ მთავრობათა დიდი პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომლებმაც მადრიდს მიავლინეს თავიანთი წარმომადგენლები; წერილი შეიცავს აგრეთვე მოწოდებას ყველაფერი იღონონ, რათა შეხვედრამ პოზიტიური შედეგებით გაამართლოს ხალხთა მოლოდინი.

კვირეულის დროს მოკავშირე რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებსა და ქალაქებში მოეწყობა მასობრივი ომის საწინააღმდეგო მიტინგები, მსვლელობანი, მანიფესტაციები. (საქდესი).

## თავიდან ავიცილოთ ბირთვული კატასტროფა

**კიევი.** უკრაინის დედაქალაქში გამართული მიტინგ-მანიფესტაციის მონაწილეებმა კონტინენტისა და მთელი პლანეტის პატიოსან ადამიანებს მოუწოდეს უფრო მჭიდროდ შეაკავშირონ რიგები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ ბრძოლაში. ათასობით კიეველმა მუშა-მოსამსახურემ, მეცნიერმა და კულტურის მოღვაწემ, სტუდენტმა და მოსწავლემ, ერთსულოვნად დაგმო ამერიკის მხედრიონის ავბედითი გეგმები.

— ჩვენ შევიკრიბეთ ჩვენი ხალხის ნათელი დღესასწაულის — გამარჯვების დღის წინ, — თქვა უკრაინის მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, მწერალმა ო. გონჩარმა — 1945 წლის მაისის იმ მზიან დღეებში დიდი სამამულო ომის მონაწილეებს სწამდათ, რომ სიტყვა „ომი" სამუდამოდ გაქრებოდა ჩვენი ცხოვრებიდან. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. კაცობრიობას არ შეუძლია მშვიდად გრძნობდეს თავს. ამერიკელ იმპერიალისტთა მიზეზით საერთაშორისო სიტუაცია უაღრესად გამწვავდა. მშვიდობის მტრები სამხედრო არსენალებს ავსებენ უახლესი სახეობის შეიარაღებით, ამერიკის მხედრიონი ახალ სარაკეტო პოლიგონებს აშენებს ჩვენი ქვეყნის გარშემო, კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც. ჩვენ მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ასეთი აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ. ეს საფრთხეს გვიქმნის ჩვენ, ევროპის მცხოვრებლებს, საფრთხეს უქმნის მთელ კაცობრიობას. (საქდესი).

● ჩეხოსლოვაკია. სსრ კავშირი

## ერთობლივი ბრძოლით შედუღაბებული

[illegible] ბაში, რომელიც გამოსცა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დამთავრების 38 წლისთავის გამო.

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, ნათქვამია დოკუმენტში, რომ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა რთულ საერთაშორისო პირობებში მიმდინარე- [illegible] თავიანთი იმპერიალისტური ინტერესების მიღწევის საშუალებით, ესწრაფვიან სოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მოპოვებას.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას და მის კონსტრუქციულ სამშვიდობო [illegible] წილე სახელმწიფოთა პოლიტიკურ დეკლარაციაში.

ჩვენ გვესმის, ხაზგასმულია ბრძანებაში, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის და მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა სოციალიზმის საიმედო დაცვა. სწორედ ამიტომ, ჩეხოსლოვაკიის კომპარტია და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომა და ქვეყნის უშიშროება. ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურენი მშრომელებთან ერთიანობით ნიადაგ განამტკიცებენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ისინი მზად არიან სახელოვან საბჭოთა არმიასა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების სხვა არმიებთან ერთად მოიგერიონ იმპერიალისტური აგრესიის ნებისმიერი ცდა, ნათქვამია ბრძანებაში.

● ავღანეთი

## მოლაპარაკების შედეგები მოიწონეს

### ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ალმასკომის სხდომა

**ქაბული. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ს. ა. კეშტმანდის ხელმძღვანელობით აქ გაიმართა მინისტრთა საბჭოს ალმასკომის სხდომა.** მოხსენება „77 ჯგუფის" წევრი ქვეყნების მინისტრების ბუენოს-აირესში გამართული მეხუთე შეხვედრის მუშაობაში ავღანეთის დელეგაციის მონაწილეობისა და ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკების შედეგების შესახებ, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობდა აპრილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილის დ. კორდოვესის შუამავლობით, სხდომაზე გააკეთა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შ. მ. დოსტმა.

ავღანეთის დელეგაცია, განაცხადა მან, აქტიურად მონაწილეობდა ბუენოს-აირესის ყველა ეტაპის შეხვედრაში. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის პოლიტიკური კურსის შესაბამისად ავღანეთის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი ქვეყნის პოზიცია მსოფლიოში შექმნილი საერთო ეკონომიკური სიტუაციის, განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკური პრობლემების მიზეზებისა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ.

შ. მ. დოსტმა განაცხადა, რომ პაკისტანის დელეგაციასთან ჟენევის მოლაპარაკება, რომელიც გულახდილობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა, ძირითადად ეხებოდა ორმხრივი ურთიერთობის მთავარ საკითხებს. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლაპარაკებას სასარგებლო უწოდა და აღნიშნა, რომ წინა ეტაპთან შედარებით ამ მოლაპარაკებაზე დიდ პროგრესს მიაღწიეს.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ალმასკომმა სავსებით მოიწონა პაკისტანთან მოლაპარაკებაზე ავღანეთის დელეგაციის საქმიანობის შედეგები და დაადასტურა, რომ ავღანეთი მზად არის განაგრძოს მოლაპარაკება რეალისტურ საფუძველზე პრობლემის მოწესრიგების მიზნით. სხდომაზე აღინიშნა, რომ ასეთი მოწესრიგების მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და უმოკლესი გზაა მხარეებს შორის უშუალო მოლაპარაკება.

● ფინეთი

## ახალი მთავრობა

**ჰელსინკი. აქ ოფიციალურად გამოცხადდა ფინეთის რესპუბლიკის ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც ჩამოყალიბდა ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ცენტრის პარტიის, ფინეთის სოფლის პარტიისა და შვედთა სახალხო პარტიის წარმომადგენლებისაგან 20-21 მარტს გამართული პარლამენტის არჩევნების შედეგების საფუძველზე.**

პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე კალევი სორსა, პრემიერ-მინისტრის მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად — ცენტრის პარტიის თავმჯდომარე პაავო ვიაიურიუნენი, თავდაცვის მინისტრად — ვეიკო პიჰლაიამიაკი (ცენტრის პარტია).

ახალი კაბინეტის პროგრამის საგარეო-პოლიტიკურ ნაწილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ იგი „განავითარებს ნდობაზე დაფუძნებულ ხელსაყრელ, კეთილმეზობლურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, რომელსაც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის ხელშეკრულება".

● ინგლისი

## არჩევნების შედეგები

**ლონდონი. შეაჯამეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების წინასწარი შედეგები.** არჩევნები გაიმართა 5 მაისს შეერთებული სამეფოს ორ ნაწილში — ინგლისსა და უელსში. შედეგებმა ცხადყო, რომ მმართველმა კონსერვატიულმა პარტიამ ვერ შეძლო თავისი მდგომარეობის განმტკიცება უახლოეს მომავალში პარლამენტის არჩევნების წინ.

ძირითადად, აღნიშნავენ ადგილობრივი მეთვალყურენი, ორივე წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიამ — კონსერვატიულმა და ლეიბორისტულმა — შეინარჩუნა წინანდელი პოზიციები. აქ ლეიბორისტთა სერიოზულ წარმატებად მიაჩნიათ ლივერპულის — ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრის მუნიციპალიტეტისადმი კონტროლის უფლების მოპოვება. თავის მხრივ, ტორებმა უმრავლესობა მოიპოვეს ბირმინგემში.

კენჭისყრის შედეგების გამო პრესაში ფართოდ განიხილავენ საყოველთაო არჩევნების მოწყობის შესაძლო ვადებს. ახლანდელი მთავრობის უფლებამოსილების ვადა იწურება გაისად გაზაფხულზე, მაგრამ ტრადიციისამებრ პრემიერ-მინისტრს შეუძლია იგი დანიშნოს თავისი პარტიისათვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს.

უშიშროების საბჭოში

## ნიკარაგუის მთავრობის თხოვნით

**ნიუ-იორკი. ნიკარაგუის მთავრობამ სთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სასწრაფოდ შეიკრიბოს ცენტრალურ ამერიკაში იმ ვითარების განსახილველად, რომელიც შეიქმნა ნიკარაგუის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ძალების ახალ შეჭრასთან დაკავშირებით.**

ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. უგო ტინოკოს წერილში, რომელიც მან გაუგზავნა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს, აღნიშნულია, რომ ნიკარაგუაში სომოსელთა შემოჭრა, რომლებსაც აფინანსებდა, წვრთნიდა და მხარს უჭერს რეიგანის ადმინისტრაცია, მოხდა ჰონდურასის ტერიტორიიდან. ნიკარაგუის მთავრობას იმედი აქვს, ხაზგასმულია წერილში, რომ უშიშროების საბჭო გამონახავს გზას, რათა მოწესრიგდეს კონფლიქტი, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

ნიკარაგუის თხოვნა მოვიდა ერთ დღეში მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რეიგანი აშკარად დაემუქრა ამ ქვეყნის კანონიერ მთავრობას და აგრძნობინა, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს მიცემული აქვს სრული უფლება გააფართოვოს თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობა. უკანასკნელ დღეებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულნი ჰონდურასის ტერიტორიიდან შედიან ნიკარაგუაში. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნიკარაგუის მუდმივმა წარმომადგენელმა ხ. ჩამორო მორამ განაცხადა, ამერიკის საჯაშუშო უწყება ცდილობს აგრეთვე შეჭრას სამხრეთიდან — კოსტა-რიკის ტერიტორიიდან.

უშიშროების საბჭომ აპრილის დამდეგს უკვე განიხილა საკითხი შეერთებული შტატებისა და მისი დამქაშების თავხედური პროვოკაციების შედეგად ნიკარაგუისა და მთელი ცენტრალური ამერიკისადმი კონფლიქტის გაფართოების საფრთხის შესახებ, საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ 50-მდე ქვეყნის წარმომადგენლები, რომელთა უმრავლესობამ გადაჭრით დაგმო რეიგანის ადმინისტრაციის იმპერიული პრეტენზიები თავისი ნება უკარნახოს ნიკარაგუელ ხალხს, ურცხვად ჩაერიოს სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში.

უშიშროების საბჭო სასწრაფო კონსულტაციებს დაიწყებს ნიკარაგუის თხოვნასთან დაკავშირებით.

● აშშ

## თეთრი სახლის ზემოქმედებით

**ვაშინგტონი. რეიგანის ადმინისტრაციის გააფთრებული ზემოქმედებით სენატის დაზვერვის საქმეთა კომისიამ ხმა მისცა იმას, რომ გაგრძელდეს დამოუკიდებელი ნიკარაგუის წინააღმდეგ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ოპერაციების დაფინანსება.**

კენჭისყრის შედეგები სენატის კომისიაში, სადაც ტონის მიმცემი არიან ისეთი „ქორები", როგორიცაა მისი თავმჯდომარე ბ. გოლდუოტერი, მკვეთრად განსხვავდება ამ დღეებში წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის სპეციალური მუდმივი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისაგან. როგორც ცნობილია, ამ კომისიამ მოითხოვა შეწყდეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირგამომთხრელი ოპერაციები ნიკარაგუის წინააღმდეგ. ამ გადაწყვეტილებამ თეთრი სახლის მწვავე გაღიზიანება გამოიწვია.

ამ საკითხზე კონგრესში ბრძოლა მიმდინარეობს რეიგანის ადმინისტრაციის მასირებული ლობისტური მეცადინეობის ფონზე, რათა კანონმდებლები აიძულონ მხარი დაუჭირონ მის ავანტიურისტულ კურსს ცენტრალურ ამერიკაში.

● ჩინეთ-საფრანგეთი

## ხელი მოაწერეს დოკუმენტებს

**პეკინი. ჩინეთის კომუნისტური პარტიის მრჩეველთა ცენტრალური კომისიის თავმჯდომარესთან დენ სიაოპინთან შეხვედრით დაამთავრა ჩინეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება.**

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ხელი მოაწერეს საფრანგეთ-ჩინეთის დოკუმენტებს, სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთში ასაშენებელი ორი ატომური ელექტროსადგურისათვის ფრანგული რეაქტორების მიწოდების შესახებ, აგრეთვე ტელეკომუნიკაციების დარგში ორი ქვეყნის თანამშრომლობის შესახებ.

პეკინში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას საფრანგეთის პრეზიდენტმა, კერძოდ, უპასუხა იმ კითხვას, თუ რა როლის შესრულება შეუძლია მის ქვეყანას ეგრეთ წოდებული „კამპუჩიის პრობლემის" გადაჭრაში. მან თქვა, რომ საფრანგეთი არ ცნობს „დემოკრატიული კამპუჩიის კოალიციურ მთავრობას" და არ სურს, რომ კამპუჩიის ხალხს კვლავ დაატყდეს თავს ტრაგედია, რომელიც პოლ პოტის მბრძანებლობის დროს მოხდა. მან დასძინა, რომ საფრანგეთს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ვიეტნამთან.

**პარიზი.** გაზეთი „მატენი" განმარტავს ფ. მიტერანის მოლაპარაკებას პეკინელ ხელმძღვანელებთან და წერს: საფრანგეთისა და ჩინეთის პოზიციების ძირითადი წინააღმდეგობა კამპუჩიის პრობლემისადმი მიდგომაში გამოვლინდაო.

## მოკლედ ტელეტაიპის ლენტიდან

● **პარიზი. საფრანგეთის მშრომელთა უდიდესმა პროფგაერთიანებამ — შრომის საყოველთაო კონფედერაციამ გადაჭრით დაგმო ირანის სახალხო პარტიის წევრთა წინააღმდეგ გაჩაღებული დევნის კამპანია.**

**მან მოითხოვა საპატიმროებიდან პატრიოტთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება.**

● **დამასკო. მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე იზრდება არაბი მოსახლეობის საყოველთაო გულისწყრომა, რაც გამოწვეულია ისრაელ ოკუპანტთა ტერორითა და რეპრესიებით. ნაბლუსში, ელ-არუბში, ტულკარმში, კაბათიაში, ჰალჰულსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში გაიმართა მასობრივი საპროტესტო მანიფესტაციები. ეს მანიფესტაციები სასტიკად ჩაახშო ისრაელის პოლიციამ.**

● **დელი. ინდოეთის პარლამენტში გააკრიტიკეს ვაშინგტონის პროვოკაციული მოქმედება რომლის მიზანია გამალებული შეიარაღების გაძლიერება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და დაძაბულობის გაღვივება ამ რეგიონში ტაილანდისათვის იარაღის დიდი მასშტაბის მიწოდების გზით.**

შემთხვევები

## ოსტატობამ იხსნა

**ნიუ-იორკი. მხოლოდ მფრინავის ოსტატობამ იხსნა ავიაკატასტროფაში დაღუპვისაგან 172 მგზავრი, რომლებიც ამერიკის ავიაკომპანია „ისთერნ ეირლაინზის" რეაქტიულ ლაინერში იმყოფებოდნენ.** ატლანტის ოკეანის თავზე „ლ-1011" თვითმფრინავს, რომელიც „ლოკჰიდის" კორპორაციის მიერ არის გამოშვებული, მოულოდნელად სამივე ძრავა გაუჩერდა. მხოლოდ წყლის ზედაპირიდან 810 მეტრზე მფრინავმა მოახერხა ერთი ძრავის ამუშავება და თვითმფრინავი მშვიდობიანად დასვა ქალაქ მაიამის (ფლორიდის შტატი) აეროპორტში.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, ამ ამბავს რომ იუწყება, აღნიშნავს, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ამერიკის ფართოფიუზელაჟიან თვითმფრინავებს ძრავები ეთიშებათ ხოლმე.

ერიჰაა!

## 61 წლის... მარათონელი

**კანბერა. ათასობით მელბურნელი აღტაცებით შეხვდა 61 წლის კლიფორდ იანგს, რომელმაც გაიმარჯვა 875-კილომეტრიან რბენაში სიდნეიდან მელბურნამდე.** ეს მანძილი მან გაირბინა 134 საათში. ამ ხნის განმავლობაში მას ათი წყვილი კედის შეცვლა მოუხდა. ეძინა სულ 15 საათი და საჭმელს რბენის დროს ჭამდა. გარბენში მონაწილეობდა 11 კაცი, კლიფორდის გარდა ყველა პროფესიონალი იყო, რომლებსაც თან ჰქონდათ წამზომები, ყოველგვარი გრაფიკები. მათ მწვრთნელებიც კი თან მისდევდნენ. თავდაპირველად იანგი ოდნავ შედრკა, თავისი გამარჯვების იმედი არ ჰქონდა. მაგრამ შემდეგ ძალები მოიკრიბა. მირბოდა ზომიერად, დღისით თუ ღამით, უამინდობას არ ეპუებოდა. საბოლოო ანგარიშით, ფინიშზე მან უახლოესი მეტოქე 50 კილომეტრით ჩამოიტოვა.

## ფოტოეკრანი

### 8 მაისი გერმანელი ხალხის ფაშიზმისაგან განთავისუფლების დღეა

**ჰიტლერული ფაშიზმის განადგურებამ გერმანელი ხალხის წინაშე თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის ნათელი პერსპექტივები დასახა. აღმოსავლეთ გერმანიაში მშრომელებმა შექმნეს ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა გერმანული სახელმწიფო. ამჟამად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა წარმატებით მიაბიჯებს განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.**

**კარლ-მარქს-შტადტი — რესპუბლიკის სიდიდით მეოთხე**





**ქალაქი — მრეწველობის, მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრია. ამ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის სახელობის ქალაქის დაძმობილებული ქალაქებია ირკუტსკი და ვოლგოგრადი. ზემო სურათზე აღბეჭდილია კარლ-მარქს-შტადტის ბრიულის მუშათა რაიონი.**

**მეორე სურათი ფრიდრიხროდეშია (ერფურტის ოლქი) გადაღებული. ავგუსტ ბებელის სახელობის დასასვენებელი სახლის თანამედროვე შენობა ერთ-ერთი იმ 665 ჯანმრთელობის კერათაგანია, რომლებიც გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანებას ეკუთვნის. მარტო შარშან რესპუბლიკის 5 მილიონამდე მოქალაქემ დაისვენა პროფკავშირული საგზურებით ქვეყნის კურორტებზე.**

ქართველი მუშის მცირე მატიანე

# ისტორია საუკუნისა

## 21

### ავტორის მინაწერი:

როცა კონსტანტინე ილურიძემ გაიხსენა როგორ დაიწყო ქარხანაში მუშაობა, რა პირობებში ცხოვრობდა თავიდან, ერთმა ამბავმა ჩამაფიქრა.

რადიოთი ხშირად მომისმენია და გაზეთში წამიკითხავს, რომ სასწავლებლები იწვევენ ახალგაზრდებს, რომლებმაც უნდა შეისწავლონ ხარატობა, ზეინკლობა და სხვა ათასნაირი ხელობა. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, მიეცემათ სტიპენდია და პრაქტიკაზე მუშაობისას დაემატებათ გამომუშავების თანხა.

აი ეს გამახსენდა და ამან ჩამაფიქრა. როგორ მოვიდნენ კონსტანტინე ილურიძე და მისი თაობის ხალხი ქარხანაში, რა პირობებში მუშაობდნენ და რა პირობებით იწვევენ დღეს ესა თუ ის ქარხნები ახალგაზრდებს სამუშაოდ. ასეთი პირობები მაშინ ილურიძეს და მისი თაობის ხალხს არც კი დაესიზმრებოდათ და მაინც ერთი არ დაუწუწუნიათ...

### თაობა და ისევ თაობა

„**თქვენ** წინსვლა და სახელი არასოდეს მოგკლებიათ თქვენი კაცური ცხოვრების გზაზე, თუმცა მისი მაძიებელი არასოდეს ყოფილხართ. შრომამ იცის მშრომელი კაცის შეფასებაც და დაფასებაც, ამიტომაც თქვენი ცხოვრების დიდ გზაზე ყოველთვის თან გდევდათ წარმატება და დაფასებაც. 25 წელია საქართველოს მოწინავე მუშათა კოჰორტის თანავარსკვლავედში დიდებით ბრწყინავს თქვენი სახელი — სახელი კაცური კაცისა, დიდებული მამულიშვილის და მოქალაქისა, მუშის და საზოგადო მოღვაწისა. 25 წელია თქვენს მაგალითზე იზრდება ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, და არა მარტო მუშათა კლასის, ახალი თაობები, თქვენი ცხოვრება გზა და ხიდია მათი მომავლისა, შუქურაა ცხოვრების ორომტრიალის დიდ ოკეანეში, შუქურა იმედისა და გზის გამკაფავი.

ჩვენი საუკუნოვანი ქარხანა ყოველთვის იყო და არის პირველი აკორდი, ტონის მიმცემი ყოველი სიახლისა და წამოწყებისა, ამიტომაც არასოდეს მოჰკლებია სახელოვანი ადამიანები და მათი საქმენი საგმირონი, საქართველოს რევოლუცია ხომ მისი სახელოსნოების ქარცეცხლში იჭედებოდა. შემდეგ დიდი ხუთწლედები, ცხოვრების ახალ გზაზე გასვლა.

პირველი თბილისელიც, რომელიც ლენინის ორდენით დაჯილდოვდა 1933 წელს ჩვენი ქარხნის მუშა, დამკვრელი კომკავშირელი ნიკოლოზ ზაქარეიშვილი იყო, თბილისის საპატიო მოქალაქეც მუშათა კლასის წარმომადგენლობიდან პირველი ჩვენი ქარხნის მუშა კონსტანტინე ილურიძე გახლდათ.

და დღეს ჭაღარა და მარად ახალგაზრდა ლენინის ორდენოსანი დედათბილისი სხვა სახელოვან მამულიშვილებთან ერთად მუშათა კლასის ღირსეულ წარმომადგენელს, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გივი გაჩეჩილაძეს — სიამაყით გასახელებს თავის საპატიო მოქალაქედ".

ცხადია მკითხველი მიხვდა ვისი მისამართით არის ეს გულითადი და მხურვალე მილოცვა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „კომუნისტი" № 60, 66, 72, 78, 84.

## 22

გივი გაჩეჩილაძე უკვე სხვა თაობის მუშაკაცია კონსტანტინე ილურიძესთან შედარებით. იგი მისი მემკვიდრეა, რომელმაც შედარებით უფრო იოლი გზა გაიარა და უფრო ადრე ავიდა დიდების კვარცხლბეკზე.

მახსოვს, ამ ცოტა ხნის წინათ ჩემს სოფელში ერთი მეტად გამრჯე გლეხკაცი მეუბნებოდა: ვერც სკოლა, ვერც ინსტიტუტი ისეთი მასწავლებელი ვერ იქნება ბავშვისთვის, როგორც ოჯახიო, რასაც ბავშვი თავიდან უყურებს, თვითონაც იმას აკეთებსო. იშვიათად, რომელიმე გამრჯე კაცის შვილი ზარმაცი და მუქთახორა გამოვიდესო.

მართალს ამბობდა ის კაცი, ერთ შემთხვევაში თავის თავსა და თავის შვილებს გულისხმობდა, რომელთაც მამასავით ცეცხლი გასდით ხელებიდან და მეორე შემთხვევაში ერთ თავის ახლობელს, მამასავით წელანგარასა და ღვინო-ქეიფს გადაყოლილს.

ეჭვი არ მეპარება, გივი გაჩეჩილაძის მამა ის გლეხკაცი უნდა ყოფილიყო, ვინც დილიდან ბინდამდე ებრძოდა მთიანი იმერეთის მწირ მიწას, ვისაც წინაპრის სინდის-ნამუსი მტკიცედ ჰქონდა შემონახული. ამას უყურებდა შვილი და, როცა სრულიად ახალგაზრდამ ხაშურის დეპოში ხარატად დაიწყო მუშაობა, თან გაიყოლა წინაპრის შრომისმოყვარეობა და კაცურ-კაცობაც, ალბათ მისი თავდადებული შრომა გახდა მიზეზი, იმისა, რომ 1957 წელს რკინიგზის უფროსების ბრძანებით გივი გაჩეჩილაძე თბილისის ელმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გადმოიყვანეს სამუშაოდ.

აქ გაშალა შევარდენმა ფრთები, ჩქაროსნული მეთოდის ხარატი სასწაულებს ახდენს შრომაში და სახელი და ჯილდოც თავისთავად მოდის: შრომის წითელი დროშის ორდენი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა წლების განმავლობაში. კომპარტიის ლენინის რაიკომის ბიუროს წევრობა, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა და, ბოლოს, თბილისის საპატიო მოქალაქეობა.

დაე, დაინახოს ჩვენი ქვეყნის მტერმაც და მოყვარემაც სადამდე ამაღლდა მუშაკაცი, რას შეუძლია მიაღწიოს, რამდენი გასაქანი აქვს მის შემოქმედებასა და უნარს.

რაციონალიზატორმა და გამომგონებელმა ხარატმა გივი გაჩეჩილაძემ ქარხანას 7.645 მანეთი დაუზოგა.

ალბათ, მკითხველი დამიდასტურებს, რომ ყოველივე ამის მოქმედს დიდი რწმენა და სიყვარული უნდა ჰქონდეს თავისი ქვეყნის მიმართაც, და თავისი ქარხნის მიმართაც.

სასურველია ყველა ახალგაზრდამ შრომით დაიწყოს ცხოვრება, მუშაკაცის შრომით, — მეუბნებოდა გაჩეჩილაძე. მერე რა სიმაღლეზეც უნდა ავიდეს იგი, ყოველთვის ეცოდინება შრომისა და მუშაკაცის ფასი.

ალბათ, ამიტომ იყო, რომ გივი გაჩეჩილაძემ თავისი ვაჟი მერაბი ამავე ქარხანაში მოიყვანა სამუშაოდ და ხელობაზე დააყენა.

## 23

ღირსეულ მამას ღირსეული მემკვიდრე გამოუვიდა, კვალდაკვალ მისდევს მამის გზას. წარმოებაში მიღწეული წარმატებებისა და მაღალი შრომითი მაჩვენებლებისათვის შარშან მერაბ გაჩეჩილაძეს კომკავშირის ლენინური პრემია მიენიჭა. იგი ამჟამად პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია...

* * *

**ქარხანაში** პარტიის კრება მიმდინარეობდა, ბოლო საკითხი პარტიის რიგებში მიღება იყო, სხვებთან ერთად მერაბ გაჩეჩილაძესაც იღებდნენ. ქარხნის პარტიული კომიტეტი თვლიდა, რომ იგი ღირსი იყო გამხდარიყო კომუნისტი. მისი ბიოგრაფიული ანკეტა ასეთი იყო: დაიბადა 1955 წელს. 1973 წელს 18 წლისა მოვიდა ქარხანაში. პროფესიით ზეინკალია, გარდა ამისა, დაუფლებულია რამდენიმე ხელობას. სწავლობს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სოციალისტურ შეჯიბრებებში მრავალგზის გამარჯვებული, არის საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

აქ თითქმის ყველაფერი რიგზეა, ერთხმად უნდა მიიღონ პარტიის რიგებში. იწყება კენჭისყრა და აგერ, ერთი საწინააღმდეგო ხმა. ვინ არის ის ერთი კაცი? გივი გაჩეჩილაძე, საკუთარი მამა.

როცა მერაბს პარტიაში მისაღებად ამზადებდნენ, მამამ აიჩემა, დამიჯერეთ, ჯერ ადრეა მისი პარტიაში მიღება, ვაცალოთ, თავი გამოიჩინოს შრომაში, მოქალაქეობაში, ნუ ავჩქარდებითო, მაგრამ ამჯერად არ დაეთანხმნენ, ვერ გაეგოთ, რას უწუნებდა მამა შვილს, შრომისმოყვარეობას თუ კაცობას. მამაა და, ალბათ, თავმდაბლობით ამბობს ამას, თორემ ეს რა სათქმელიაო, იფიქრეს, მაგრამ როცა უარყოფითი ხმა მისცა, მაშინ კი დაიჯერეს, რომ გივი გაჩეჩილაძე გულწრფელად ამბობდა ამას.

რას იზამ, ყველას თავისი აზრი და შეხედულება აქვს, წინდახედული მამა, რაც უნდა კარგი შვილი ჰყავდეს, კმაყოფილი მაინც არ არის, უკეთესი სურს, უფრო გამრჯე, უფრო კაცური კაცი, ეს ალაპარაკებდა გივი გაჩეჩილაძეს, თორემ მერაბს რა ჰქონდა დასაწუნი, რა ისეთი ნაკლი ჰქონდა, რომ პარტიაში მიღებაზე უარი ეთქვათ.

ეს ამბავი ახლაც სალაპარაკოდ აქვთ ქარხანაში. ბევრს უკვირს მამის საქციელი შვილის მიმართ, მაგრამ ისეთი კაცური და ზნემაღალი კაცისაგან, როგორიც გივი გაჩეჩილაძეა, ასეთი რამ ნურავის გაუკვირდება.

### ავტორის მინაწერი:

1978 წელს ჩაეყარა პირველად საფუძველი თბილისქალაქობას, პირველად იდღესასწაულა მაშინ ერთიანმა საქართველომ თბილისობა. ეს იყო შემოდგომის მიწურული, როცა სოფლის მეურნეს, მოსავალი უკვე აღებული და დაბინავებული ჰქონდა.

მას შემდეგ თბილისობა უფრო და უფრო იხვეწება, ფორმასა და შინაარსს იმდიდრებს. მეორე თბილისობაზე აირჩიეს თბილისის

## 24

საპატიო მოქალაქედ კონსტანტინე ილურიძე. მეოთხეზე — გივი გაჩეჩილაძე.

ის დღე პირველი თბილისობისა ბრწყინვალე ფურცელი გახდება ჩვენი ისტორიისა, თუნდაც იმიტომ რომ მან მისცა დასაბამი იმ საშვილიშვილო საქმეს, რომელიც ძველი თბილისის უბანში კეთდება და გაკეთდა, რომელიც მტრის თვალსაც კი მოხიბლავს.

### ისევ დინასტია

**ანდრიანოვების** დინასტია, გაჩეჩილაძეების დინასტია... პაპა, შვილები, შვილიშვილები, მამა გივი და შვილი მერაბ გაჩეჩილაძეები.

თბილისის ელმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ეს არც იშვიათია და არც შემთხვევითი. აქ დიდი ტრადიციაა მუშათა დინასტიისა, საუკუნოვანი ტრადიცია.

ვაგონსარემონტოს მესამე საამქრო. როგორც წინასწარ ვიცოდი, აქ უფროს ოსტატად მუშაობდა რთველაძეების დიდი დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, 71 წლის ვიქტორ რთველაძე, ძმისწული ცნობილი ქართველი რევოლუციონერის გიორგი რთველაძისა, რომელმაც 1887 წელს სწორედ რკინიგზის სახელოსნოებში მიიღო პირველი რევოლუციური ნათლობა სერგი ალილუევისაგან და ვანო სტურუასაგან.

რამდენჯერმე დაპატიმრებული გიორგი რთველაძის ძმა ალექსანდრე, ვიქტორის მამა, ჟანდარმერიამ საეჭვო და საშიშ პიროვნებად ჩათვალა და ბაქოში გაასახლა.

მხოლოდ რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა რთველაძეების ოჯახი თბილისში. მაშინ ვიქტორი 12 წლის ბიჭი ყოფილა. მამას ისევ ამ ქარხანაში დაუწყია მუშაობა და რამდენიმე წლის შემდეგ — ოცი წლის ვიქტორიც მამას ამოსდგომია მხარში და მალე მის ძმა სერგოსაც აქ დაუწყია მუშაობა.

ბევრი ტკბილი და მწარე მოგონება აკავშირებს ვიქტორს ამ ქარხანასთან. ბევრი მეგობარი და მასწავლებელი გამოაკლდა ამ ხნის მანძილზე.

— შეგირდობით დავიწყე და საწარმოო განყოფილების უფროსიც გავხდი. ყველაზე მეტად ომის წლებში გაგვიჭირდა. დღე-ღამეში თხუთმეტი საათი მუშაობა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ბევრჯერ ორი დღე-ღამე გადაბმული გვიმუშავია. თბილისში ვინც კარგი ხელოსანი გაეგონათ, ყველა აქ მოიყვანეს,

— ახლა პენსიაზე ხართ? — ვეკითხები ვიქტორს.

— პენსიაზე გავედი, მაგრამ უქარხნოდ ვერ გავძელი. უფროს ოსტატად ვმუშაობ, ვითომ იოლ სამუშაოზე გადავედი ამ სიბერის დროს, თუმცა აქ იოლი სამუშაო არ არსებობს, გეგმა თუ არ შევასრულე, თავი მომეჭრება.

— ჯილდოები თუ გაქვთ მეთქი? — ვეკითხები.

რაღაცნაირი მორცხვი ღიმილით მიპასუხებს:

— მაქვს მედლები შრომითი მამაცობისათვის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი, ვარ რესპუბლიკის დამსახურებული პროპაგანდისტი...

— რამდენი შვილი გყავთ?

— ოთხი და ოთხივე აქ მუშაობდა, აქ დავაჭკაცდნენ, მერე ინსტიტუტები დაამთავრეს და თავიანთ საქმეს შეუდგნენ.

**სოლომონ დემურხანაშვილი.**

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შრომითი კოლექტივი: განვიხილავთ კანონის პროექტს**

# ჩვენ — საზოგადოებას, საზოგადოება — ჩვენ

**ცვლებს** შუა პერიოდში რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის წითელ კუთხეში შეიკრიბნენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რათა განეხილათ შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი. მათ ერთსულოვნად მოიწონეს პროექტი, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი.

ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორმა მ. გიგოლაევამ, კერძოდ, თქვა:

— ერთიანი განწესით მომუშავე კოლექტივებში მნიშვნელოვნად იზრდება ყველას პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, იქ კარგად აქვთ მოფიქრებული ეკონომიკური სტიმულირების სისტემა. ბრიგადის საბჭოს ხელში თავმოყრილია მართვის ეკონომიკური ბერკეტები: ხელფასის ფონდი, შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მიხედვით ხელფასის განაწილების უფლება. მაგრამ ბრიგადის საბჭო არჩევითი ორგანოა. მას არა აქვს მინიჭებული ადმინისტრაციული უფლებები, წინადადება შემომაქვს კანონის პროექტის მე-18 მუხლი, რომელშიც ჩამოყალიბებულია საწარმოო ბრიგადის კოლექტივის ძირითადი უფლებამოსილებანი, დაკონკრეტდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**ადმინისტრაციული უფლებებით მოსილი ბრიგადის საბჭო მთლიანად აგებს პასუხს შრომითი კოლექტივის პირველადი რგოლის თითოეული წევრისათვის**".

სიტყვა ეძლევა სარემონტო-მექანიკური საამქროს ზეინკალს გ. ბალავაძეს:

— კანონის პროექტი, — თქვა მან, — აფართოებს შრომითი კოლექტივის უფლებებს საწარმოო და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში. მაგრამ ისეც ხდება, რომ მუშა, რომელიც ნაკლებს აძლევს საზოგადოებას, მისგან მეტს მოითხოვს. მაგალითად, ცალკეული ვაი-მუშაკები მოდიან საწარმოში, იღებენ ბინას და მაშინვე მიდიან ქარხნიდან. და მათ უშვებენ უდრტვინველად, „საკუთარი სურვილით". შემომაქვს წინადადება შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში საწარმოდან წასულს ჩამოერთვას ამ საწარმოს მიერ მიცემული ბინით შემდგომი სარგებლობის უფლება.

ლაპარაკობს შემომჭრელი თ. იუსიფოვი:

— ჩვენ ყურადღებით შევისწავლეთ შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის პროექტი. იგი ამკვიდრებს წარმოების მართვასა და ადამიანთა აღზრდაში მშრომელთა მაღალ როლს. მაგრამ, ჩემი აზრით, პროექტის ზოგიერთ დებულებას დაზუსტება სჭირდება, შრომითი კოლექტივების უმრავლესობა საწარმოებში ყალიბდება. მაგრამ კოლექტივების შემადგენლობა იცვლება. არიან ადამიანები, რომლებიც წამდაუწუმ იცვლიან სამუშაო ადგილს. კადრების განყოფილება, რომელიც მათ სამუშაოზე იღებს, არ ახოულობს მათგან საწარმოო დახასიათებას წინანდელი სამუშაო ადგილიდან. ეს გარემოება „ფრენიებს" უადვილებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას. მიზანშეწონილად მიმაჩნია კანონში გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი: **„სამუშაოზე მიღების დროს მოითხოვონ საწარმოო დახასიათება წინა სამუშაო ადგილიდან"**. (საქინფორმი).

# მართვა თანამედროვე დონეზე

**უთუოდ** დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია პროექტი სსრ კავშირის კანონისა „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ". პროექტი შედგენილია სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად. მასში მკაფიოდ ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში თითოეული შრომითი კოლექტივის როლს, საწარმოთა მშრომელების შემოქმედებითი აქტიურობის გაძლიერებას, ინიციატივას, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების განვითარებას.

როგორც კანონის პროექტშია მითითებული, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული კოლექტივის უფლებამოსილებას საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მართვაში. ამიტომ გვინდა ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ. კერძოდ, პირველი მუხლის მეორე აბზაცში ლაპარაკია სახელმწიფო გეგმების შესრულების მნიშვნელობის, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების შესახებ, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს ასეთი სახით: „სახელმწიფო გეგმების შესრულება, ოპტიმალური შრომითი რესურსებით მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შესაბამისი შრომის ბალანსების მიხედვით მთელი წლის მანძილზე შრომითი რესურსების ზუსტი დადგენა და დაძაბული პერიოდების მითითება, სახელმწიფო და უწყებრივი აღრიცხვის იდენტურობისათვის სეზონურ სამუშაოზე დასაქმებული სამუშაო ძალის გამოყენების სამეურნეო საქმიანობის შედეგების ასახვის თვალსაჩინოება". შემდეგ როგორც ტექსტშია.

მეთერთმეტე მუხლი, სადაც ლაპარაკია შრომითი კოლექტივების უფლებამოსილების, შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების შესახებ, ბოლო აბზაცი მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად: „განიხილავენ კომკავშირულ ორგანიზაციათა წინადადებებს კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების შექმნის შესახებ, სეზონურ სამუშაოებზე თითოეული საწარმოს ინტერესების შესაბამისად მოსწავლეების სამეურნეო საქმიანობაში დასაქმების საკითხს და შეაქვთ თავიანთი რეკომენდაციები".

**ი. გიგოშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის დოცენტი.**

# ძმურად გაწვდილი ხელი

**მეგობრობისა** და შეფობის ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისის კალინინის რაიონსა და მარნეულის რაიონს შორის. ეს დოკუმენტი დიდი ხნის საქმეთო საქმიანი და შემოქმედებითი კონტაქტების გამოხატულებაა.

ხელშეკრულების შესაბამისად, რომელსაც საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომში მოაწერეს ხელი, ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს უფრო აქტიურად ითანამშრომლონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

— ჩვენი რაიონი, ისევე როგორც ქალაქ თბილისის კალინინის რაიონი, ინტერნაციონალური შემადგენლობისაა, — თქვა ხელშეკრულების დადებისადმი მიძღვნილი ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოს გახსნისას საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. მემარნიშვილმა. — მისი მშრომელების — 36 ეროვნების წარმომადგენლების შეკავშირება შრომითი მიღწევების ერთ-ერთი წყაროა. ყოველწლიურად მეათე ხუთწლედში, ისევე როგორც მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წლებში, მარნეულელები რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი გამოდიან. დღეს რაიონი აწარმოებს 300 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას. მიზანმიმართულად ვითარდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. საგრძნობლად გაუმჯობესდა მარნეულელთა კეთილდღეობა, ხელშეკრულება ხელს შეუწყობს აგრეთვე რაიონის სულიერი პოტენციალის ზრდას, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ძმური ურთიერთობის განმტკიცებას.

— ორი რაიონის სოციალურ-კულტურული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, — თქვა პარტიის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. ლომიძემ. — ჩვენს რაიონში თავმოყრილია დიდი სამეცნიერო და შემოქმედებითი ძალები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. დავეხმაროთ ერთმანეთს, კერძოდ, სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაშიც, — ეს ჩვენი საერთო ამოცანაა. ხელშეკრულება ითვალისწინებს კალინინის რაიონის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა, მოსწავლეთა და სტუდენტთა შეხვედრებს მარნეულელ მშრომელებთან. მარტო მიმდინარე წელს დაგეგმილია მოეწყოს 30-მდე ღონისძიება, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების, საშუალო სკოლების კონტაქტების გაღრმავებას. მაგალითად, კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ მარნეულის რაიონული ბიბლიოთეკის შეფობა იკისრა. წლის დამლევამდე კალინინის რაიონის ბიბლიოთეკები მარნეულელებს საჩუქრად გადასცემენ 15 ათას ტომ მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას. თეატრები, ხელშეკრულების თანახმად, თვეში ერთხელ მოაწყობენ ხოლმე გამსვლელ სპექტაკლებს.

მარნეულის რაიონში სისტემატურად ჩავლენ კალინინის რაიონის მხატვრული კოლექტივები, ინდივიდუალური შემსრულებლები, რომლებიც გამართავენ აქ საშეფო კონცერტებს. მოეწყობა აგრეთვე მუსიკის, სახვითი ხელოვნების, მეცნიერების, კინოს დღეები და კვირეულები, რომლებიც ტრადიციული გახდება.

აი რა თქვეს საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში რაიონების დელეგაციების წევრებმა, ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოს მონაწილეებმა.

ვ. ბერიძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი:

— მარნეულის რაიონს ახლა რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ძველი არქიტექტურული ძეგლების რაოდენობის მიხედვით. მის ტერიტორიაზე აღმოჩენილია არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის IV-V ათასწლეულებს. მეცნიერებს კვლავ სერიოზული კვლევა მოუწევთ აქ.

მეგობრობისა და შეფობის ხელშეკრულება ითვალისწინებს რაიონში მოძრავი მხატვრული გამოფენის შექმნას. გამოფენაზე ექსპონირებული იქნება ბოლო წლებში რესპუბლიკის ფერმწერების, მოქანდაკეების, გრაფიკოსების მიერ შექმნილი საუკეთესო ნამუშევრები, ქართული ხელოვნების კლასიკოსთა ნაწარმოებები. ექსპონატები გამუდმებით განახლდება.

ქ. ჯაფარლი, მარნეულის № 2 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

— ქართული ენა ჩემს მეორე მშობლიურ ენად მიმაჩნია, ვესწრაფვი იმას, რომ კარგად შეისწავლონ იგი ჩემმა აღსაზრდელებმაც. ისინი გატაცებით კითხულობენ არა მარტო აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსების — ნიზამის, სამედ ვურღუნისა და სხვების, არამედ აგრეთვე რუსთაველის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებებსაც...

დარწმუნებული ვარ რომ ორი რაიონის საშეფო ურთიერთობა განმტკიცდება. სწავლების მეთოდის გაუმჯობესებაში მეხმარებიან კალინინის რაიონის სკოლებში მომუშავე კოლეგები.

ლ. კილაძე, ქ. თბილისის № 1 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე:

— არა არის რა მეგობრობაზე უფრო მშვენიერი. ერთხელ კიდევ დავრწმუნდით ამაში, როცა სტუმრად ვეწვიეთ სოფელ ყაჩაღნის საშუალო სკოლის მოსწავლეებს. ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება: მარნეულელი ოქტომბრელები თბილისში ვ. ი. ლენინის ძეგლთან მივიღოთ პიონერთა რიგებში, მათი ნორჩი თბილისელი თანატოლები კი — მარნეულის მისადგომებთან, იქ სადაც აღმართულია ომში დაღუპულ მეომართა მემორიალი.

ი. ჩობან-ზადე, ქ. მარნეულის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე:

— ჩვენი რაიონის მშრომელებმა ბოლო დროს დიდ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკის განვითარებაში, გაიზარდა მათი წვლილი სახალხო მეურნეობაში. კეთილმოეწყო, უფრო დამშვენდა მარნეული. ამ საქმეში მარნეულის რაიონს დიდად ეხმარება რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

საინტერესოა, რომ 1925 წელს რაიონში — ყოფილ ბორჩალოს მაზრაში მხოლოდ ერთი — ბამბასაწმენდი ქარხანა იყო, დღეს კი აქ 40-ზე მეტი სამრეწველო საწარმოა. ერთ-ერთ მოშორებულ სოფელში — სადახლოში ოდესღაც მხოლოდ ერთი მასწავლებელი იყო. ახლა კი დაახლოებით ასი მასწავლებელი გადასცემს ცოდნას 2000 მოსწავლეს. სადახლოელები ამაყობენ იმით, რომ სოფელში შრომობს ცნობილი მეთამბაქოე გიულიაზ ხალილოვა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

კალინინის რაიონის დელეგაციამ მასპინძელთა თანხლებით დაათვალიერა ამ ცოტა ხნის წინათ გახსნილი მარნეულის რაიონის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, ამ ადგილების სახელოვან მკვიდრთა — გამოჩენილი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილისა და მგზნებარე რევოლუციონერის ნარიმან ნარიმანოვის ძეგლები.

მეგობრობის ხელშეკრულების საშეფო ვალდებულებათა შესრულების შედეგი შეჯამდება ყოველწლიურად იანვრის მეორე ნახევარში.

**ნ. ბროლაძე,**
**საქინფორმის სპეც. კორ.**

# ზრუნვა მუშათა ცვლისათვის

**სსრ კავშირის** პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით, დაამტკიცა დებულება სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა კურსდამთავრებულების განაწილების შესახებ. დებულებაში განსაზღვრულია ახალგაზრდა მუშების წარმოებაში გაგზავნის წესი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სამუშაო ადგილების მიხედვით პერსონალურ განაწილებას გამოშვებისწინა საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე. ამ პრაქტიკას გაივლიან იმ სამუშაო ადგილებზე, სადაც განაწილებული იქნებიან კურსდამთავრებულები.

დებულება განსაზღვრავს ახალგაზრდა მუშების უფლებებს, საწარმოებისა და კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის ორგანიზაციების ვალდებულებებს, იმას, რომ უნდა შეიქმნას საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები და შესაძლებლობანი მათი შემდგომი პროფესიული, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული ზრდისათვის.

დებულების მიზანია აამაღლოს პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებელთა პასუხისმგებლობა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებისა და განაწილების სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, აგრეთვე საბაზო საწარმოთა მზადყოფნა შეძენილი პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაბამისად კურსდამთავრებულთა მიღებისა და შრომითი მოწყობისათვის.

მიმდინარე წლიდან დებულებას ფართოდ დანერგავენ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაობის პრაქტიკაში. (საკდესი).

**მურმან ლებანიძე**

# ომი — სიკვდილის სუნთქვა, ომი — სიცოცხლის დამბლა!



**უმცროსი** თუ უფროსი თაობის არაერთმა ქართველმა მწერალმა იარაღით ხელში დაიცვა ქვეყანა გერმანული ფაშიზმისაგან; ბევრმა მათგანმა თავი დადო ფრონტზე და ბევრიც ვალმოხდილი დაგვიბრუნდა. ერთი მათგანია რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოეტი **მურმან ლებანიძე**, რომელსაც ათეული წლების მანძილზე თავს არ ავიწყებს განვლილი ომი. პოეტის ყოველ ახალ წიგნში რამდენიმე ლექსს მაინც ვხვდებით ომის თემაზე. „დამესიზმრება: სისხლის წებო ჩექმაში ჩამდის და, როგორც კურდღელს, მესერშმიტი მინდორში დამდევს"... — წერდა იგი სულ რამდენიმე წლის წინათ.

უახლოეს ხანში მკითხველი მიიღებს მურმან ლებანიძის ახალ წიგნს — „კრებული — 1983" (გამომცემლობა „მერანი"), რომელშიც ცოტა ადგილი როდი უჭირავს ომს. ზუსტად ორმოცი წელიწადი გვაშორებს მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილებზე გამართულ ბრძოლებს, ყუბანის განთავისუფლებისათვის წარმოებულ საგაზაფხულო შეტევას, რომელთა მონაწილეც მურმან ლებანიძე გახლავთ... „რაც ვიცი, იმას ვწერ — კარგად ვიცი მე სისხლის წვიმის!" — ვკითხულობთ პოეტის ახალ ლექსში. და, მართლაც, ომის საშინელებათა მკაცრი ხსოვნით აღწერს მურმან ლებანიძე მრისხანე დღეებს, რომელთა პოეტის მიერ ასე მძაფრად აღქმა გაფრთხილებად ჟღერს — ომი არ შეიძლება განმეორდეს!

ვბეჭდავთ რამდენიმე ლექსს პოეტის ახალი წიგნიდან.

## მარუხისაკენ

(აგვისტო — 1942)

სადღაც, შორს,
ძაღლი ალავლავდა, ყივილმა მამლის,
ბარე ცხრაასის
შვა იმედი ღამეულ მგზავრის...

მხვნელი, მთესველი,
ხეხილის თუ ვაზის მყნობელი,
მაშასადამე,
სადღაც ახლოს იყო სოფელი...

ეგ სულ ერთია,
ვისიც იყო — სვანის თუ კოლხის,
ბერძნის, აფხაზის,
კი, ბატონო, თუ გნებავს — სომხის!

მთავარი არის,
რომ სოფელი სალდათის გულში
აღძრავს თბილს რასმე, —
გლეხი გახლდა სალდათი გუშინ...

მთავარი არის, —
ახლოს იყო სათევი ღამის,
იმედიც ვახშმის —
ესეც ნიშნავს ლაშქრისთვის რამეს...

„აბა, ჰე, ცოტაც!"
თქვა ხმამაღლა მთავარმა მგზავრმა,
ცხენს აუჩქარა
და შარიშურს უმატა ჯარმა...

ხმელ საურმეზე
პაკიპუკი ისმოდა ფლოქვის
და ყრუ შმაშური
მარუხისკენ მიმავალ პოლკის.

## პირველი ნახვა გერმანელის — მარუხის კლდეში

(აგვისტო — 1942)

მოგვიყვანეს და
აქ დაგვყარეს, მარუხის კლდისძირას —
ღამდება. გრილა.
წვიმს. აბუზულს ვგავარ წიწილას...

არათუ არ მყავს
ავტომატის ჯერით მოკლული,
გერმანელისთვის
თვალი არ მაქვს ჯერეთ მოკრული...

გადმოდგა შობელძაღლი, —
ფხაკაფხუკით გვაცვივა ხრეში, —
გაიარა, გამოიარა
მარუხის კლდეში...

ვხედავ ცის ფონზე
ნატურალურს, რეალურს, ნამდვილს —
მშვიდად, უშიშრად,
არხეინად, უტიფრად დადის...

შთაბეჭდილებას
აფერისტი იმნაირს ახდენს, —
რის ომი! — თამაშს
გვიპირებდეს ვითომცდა ლახტის...

სიფხიზლე მისი
გვეუბნება: ფხაკურმა გაგთქვათ!
მანდ მოგიყვანეს,
მანდ ფხაკურობთ,
ვიცით, რომ მანდ ხართ!

. . .

დილის ხუთამდე
გვიმრიანში ტინებზე გვძინავს,
შეტევა — ხუთზე!
გულსაწყვეტი ირკვევა დილას:

აქვს საფუძველი
ახალბედა მეომრის წუხილს —
მე რომ გუშაგი
გერმანელი მეგონა წუხელ,

ჩვენს წინააღმდეგ
ავსტრიული პოლკია ამ დროს
და ისიც —
პოლკის ოცეული, ეს კია — სამთო...

იცინის მაილენსკი
(არ იცინის, ვინც დაჭრილია!):
„ეგ ავსტრიელი
გერმანელის ბიძაშვილია!"

მერე წარბს იკრავს,
ყურს მიუგდებს ნაღმების ყაყანს:
„მოესწრებით
გერმანელის პირისპირ ნახვას!"

## ბატალიონი პოზიციას ჭიუხში იცვლის...

(აგვისტო — 1942)

ბატალიონი
პოზიციას ჭიუხში იცვლის:
ყეფს ნაღმსატყორცნი,
ბრძანებაა საჩქაროდ წინსვლის,

კლდოვან დერეფანს,
გადაშამბულს გვიმრით და მოცვით,
დაკიბულ სიპებს
ოცეული მიჰყვება ცოცვით...

„გზა მიეცით
ჯერ ჩალვადრებს! უფსკრულის მხარეს
გადადექითო!" —
მეთაური ანაზდად ბრძანებს...

არავითარი
უშველი და მყრალი ყროყინით, —
წამოგვეწიენ
ჩოკინები წყნარი ჩოკინით...

კეხსა ჰკიდია
წყვილი ყუთი ოც-ოცი ნაღმით, —
ხუთ მეტრში ვწევარ,
ჩალვადარი მოჰყვება სახრით...

უეცრად
სიპზე მოუცურდა სახედარს ფეხი,
უტაცა ხელი
ჩალვადარმა — ხელთ შერჩა კეხი...
მოცურდა ისიც,
კლდეს მიეყდრნო, საპალნეს ეცა,
ქვეშ მოჰყვა ლბილად,
ცივმა ოფლმა დაასხა ბეჩავს...

წაქცეულ სალდათს
შევაცქერდი მე გაკვირვებით:
ყუთის ღრიჭოდან
მოუჩანდათ ნაღმებს ცხვირები...

ვიყავ ცხრამეტის,
არც მიგრძვნია მაშინ ეგება, —
საკმაო იყო
იმ ცხვირების ტინთან შეხება,

არ ვიქნებოდით
წუთში ირგვლივ, ალბათ, არცერთი...
რაც მთავარია,
ვერც, რასაც ვწერ,
ამას დავწერდი!

## ქლუხორთან

(სექტემბერი — 1943)

რაც ვიცი, იმას ვწერ, —
(კარგად ვიცი მე სისხლის წვიმის!) —
რაც ცუდად ვიცი, ან არ ვიცი,
პრეტენზია არცა მაქვს იმის!

. . .

მოფრინდა კლდეში
თვითმფრინავი ჩვენი, ფანერის,
წრე მოხაზა და
ტკაცატკუცით ფრენას ანელებს...

კაცმა
სურსათი მოგვიტანა, ხევხუვში გვეძებს,
მაგრამ „ზენიტკა" უყენიათ
წყალგაღმა „მხეცებს"...

ესვრიან, რათა
ჯარისკაცი, საწყალი,
არ იყოს
მაძღარი...

მოიფარფატა
ფლატეები, მოგვძებნა, შედგა,
შვიდი ტომარა
ორცხობილა რიგრიგად გვხეთქა.

ხელით გვანიშნა, —
მელოდეთო ხვალ საღამოსაც, —
ცულისპირივით
კლდეებს შორის გაძვრა-გამოძვრა,

შებრუნდა მკვირცხლად,
ჩამოვლილი ნისლი გაფლითა
და, სად ადლერი გვეგულება,
იქით გაფრინდა...
გვშია, გვწყურია,
არ დაგიწყებ იმის მოყოლას,
რომ გერმანელი
ნაღმსატყორცნით გვაყრის ქოქოლას,
თან, ამავე დროს,
ცუცნის კოხტად თავის შოკოლადს...

ხოლო ტომრები
(მტრის სანგრამდე კლდეა და ღრეა...)
ხეობის ფსკერზე,
ნეიტრალურ ზონაში ყრია...

არის ბრძანება,
რომ მაგ ტომრებს (ზღაპარს ჰგავს რაიც!)
შენ ამოუტან შენს ასეულს,
ჩემო მურმან, მაინცდამაინც!

ოპერაციას
ჩაატარებ ათიოდ კაცით —
შენ ამოსვლა თქვი
მაგ ღრანტედან! კი ჩახვალ ჩასვლით!

. . .

შეღამდა, გრილა,
ვარსკლავებზე ხვალის დღე ცხვება...
ხეობის ფსკერზე
ზის რაზმი და ადგილზე ძლება...

დაფუებულა
ორცხობილა, რომელიც უყვარს
საწყალ ჯარისკაცს
და რომელსაც უწოდებს „სუხარს"...

აცომებული
ორცხობილით პლაშპალატს ვავსებთ,
ორ-ორ პლაშპალატს
თავს წავუკრავთ, ორ-ორი ავწევთ,

კეხს გავუსწორებთ,
გადავკიდებთ სახედრებს კეხზე...
ვფიქრობ ამ დროს
მე კახელ გლეხზე,

რომელიც „ზურგში"
პატრიოტიზმს ავლენს
და ფრონტზე
(რაკი მოხუცია) მარჩენალს გზავნის.

იცის ჩოკინამ,
ხატი-რჯული, ესმით ჩოკინებს, —
მტერია ცხვირწინ, —
და არც ერთი აქ არ ყროყინებს...

უფათერაკოდ
მოვაღწიეთ ბეჩავ ასეულს,
ვსხედვართ ფეხმორთხმით
და შევცქერით ჩვენს ხალხს დამშეულს,

ვდუმვართ დაღლილნი,
ნაჯაფრები, საზიზღრად მაძღრები:
იყოფენ რაფრად!
რანაირად ჭამენ საწყლები!

თენდება, გრილა,
ცისკიდურზე ხვალის დღე ცხვება —
დილის ექვსიდან
ნაღმსატყორცნის ატყდება ყეფა...

. . .

რაც ვიცი, იმას ვწერ
(კარგად ვიცი მე სისხლის წვიმის!) —
რაც ცუდად იცის, ან არ იცის,
პრეტენზია ბრიყვსა აქვს იმის!

## თაგვისფერი, რომელიც მწვანეში გადადის...

(თებერვალი — 1943)

ომიდან მახსოვს
უმთავრესად მე სამი ფერი:
შავი — რომლითაც
იხატება ზამთრის ტყეები,
თეთრი — რომელიც
ზამთრის ტყეებს სჭირდება ფონად
და კიდევ ფერი
გერმანელი მეომრის ფრენჩის —
თაგვისფერი,
რომელიც მწვანეში გადადის...

. . .

მე რომ დავიჭერი,
თებერვალი ზერავდა მურდალი,
(ცხრა იყო თებერვლის
და არა მკათათვის...)
ერთ საწყალ სტანიცას
თოთხმეტი ჩავუტანე
ფრენჩი თაგვისფერი —
ის, რომელიც მწვანეში გადადის...

ვიწყებ მოთხრობას:
ისევ ისე ომის აჩრდილი!
გარიაჩი-კლიუჩში
მოვიჩლახუნებ ჩემთვის დაჭრილი.

მესამე დღეა
ვიკვებები ჭარხლის კუდებით,
ეგ სტანიცებში,
ტრამალ-ტრამალ — კუნელით, პანტით;
საიქიოში —
არ მიმიღეს, სახლში ვბრუნდები
შავი ტროსტით,
თეთრი ბანტით, წითელი ვარდით...

ვგავარ ბელურას,
ვარ ნამსხვრევი დანგრეულ პოლკის,
საიქიოდან
სააქაოს მოვათრევ კონკებს,
ვეძებ ლაზარეთს,
ვერც მომკლეს და კიდევაც მომკლეს,
ვხვდები გზადაგზა
საიქიოს მიმავალ პოლკებს...

. . .

სამი დღე ვტოპე
ჰოსპიტლისკენ უდაბნო თოვლის,
კლიუჩევაიასთან
გამოვედი თებერვლის თორმეტს;
ვუახლოვდები
გასულ შაბათს აღებულს ჩემგნით...
მოგრძო სტანიცას
უგზო-უკვლოდ, უკაცურ ზეგნით...
ვხედავ საზიზღარი
აწყვია ხორცეული:
წელამდე ტიტლიკანა,
შიგდაშიგ თვალხილული,
მიბრჯნით დახვრეტილი
ვერმახტის ოცეული
გაძეძვილ ზეგანზე
თოვლშია ჩაყინული...

და ყოველ
ტიტლიკანა სალდათის გვერდში
(გასაშრობადო,
გეგონება!) ჰფენია ფრენჩი —
თაგვისფერი,
რომელიც მწვანეში გადადის...

. . .

„რა ვუყო ახლა მე ამ ფრენჩებს?! —
ვუთხარი ჩემს თავს, —
კაცი თუ არა, ღმერთი ხომ ხედავს:
გასაგებია,
რომ ფრენჩები ნასალებია,
ნასალებად არის გახდილი...
ვილაცამ დიდი შრომა გასწია,
მაგრამ საწყალი ჯარისკაციც,
ვგონებ, კაცია
და საძრახისი, ალბათ, არც კია,
გამოვიყენოთ სხვისი შრომა
ამჯერად ჩვენთვის!"

. . .

ჩამოვიხსენი ზურგჩანთა მჩატე,
დავკეცე ხუთი, ხუთივე ჩავდე;
დაღლილმა სული მოვითქვი წუთით,
ახლა ხელახლა დავკეცე ხუთი...
გაჰქონდა მჭახედ
ტკაცატკუცი ფრენჩებს კეცვისას,
ყინულის აპკი
ასკდებოდა ქსოვილს ფრენჩისას,

ფანერს ჰგავდა და
მეშინოდა ფრენჩის გახევის,
დაზიანება
შევიძელი თითქმის ნახევრის...
ყმუოდა თებერვალი,
მეტელიცა სტვენდა შაითანი
(თორმეტი იყო
თებერვლის და არა მკათათვის!),
გარიაჩი-კლიუჩში თოთხმეტი ჩავიტანე
ფრენჩი თაგვისფერი —
ის, რომელიც
მწვანეში გადადის...

. . .

ზუსტად
ორმოცი წელიწადი არის გასული,
მე თქვენ გიამბეთ
დაწყევლილი კაცის წარსული —
წარსული ჩემი
და წარსული ჩემფერი ლანდების,
გარეშე ხრიკის,
ყოველგვარი შეფერადების...

ჩამოვყვებოდი მელნისფერ ბინდში
ჩვენი მშიერი ჰოსპიტლის კიბეს,
გადავივლიდი, „კასტილებზე" ჩამოკიდული,
ფრთხილად, ფრთხილად გალიპულ შუკას,
მივადგებოდი
რომელსამე მოწყენილ ქოხმახს,
დავაკაკუნებდი,
საკეტისას — რეჩხს დავუცდიდი,
გაღებისას — ფრენჩს გავუწვდიდი...
„ზახოდი, სინოკ!" — მეტყოდა დედაბერი,
„ზახოდი, როდნენკიი!" — დასძენდა მოწყენით
და პალატაში ვბრუნდებოდი მერმე ხანხალით..
იმ თითო ფრენჩში
თითო თავი მქონდა ჭარხალი,
თანაც ზედ — კარტოფილი...
ამაზეც — მადლობელი!
ამაზეც — მადლობელი!
ამაზეც — მადლობელი!

. . .

ომიდან მახსოვს
უმთავრესად მე სამი ფერი:
შავი — რომლითაც
იხატება ზამთრის ტყეები,
თეთრი — რომელიც
ზამთრის ტყეებს სჭირდება ფონად
და კიდევ —
ფერი გერმანულ ფრენჩის —
თაგვისფერი,
რომელიც მწვანეში გადადის.

1982 წ.

თბილისური გასტროლები

# შთამბეჭდავი ხელოვნება

**თბილისის** ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის შენობაში უკვე რამდენიმე დღეა გასტროლებს მართავს ლენინგრადის მცირე დრამატული თეატრის კოლექტივი.

სტუმრებმა, რომელთა ხელმძღვანელია თეატრის მთავარი რეჟისორი, სახელგანთქმული გ. ტოვსტონოგოვის მოწაფე, ახალგაზრდა ხელოვანი ე. პავდე, ჩვენს დედაქალაქში ორი სპექტაკლი ჩამოიტანეს. ესენია: ა. კუპრინის მოთხრობის მიხედვით შექმნილი „ბატონი ოფიცრები" (ინსცენირება და დადგმა ე. პავდესი) და ფ. აბრამოვის „სახლი" (დადგმა ლ. დოდინისა).

— ამ ორი წარმოდგენითაც კი ნათლად ჩანს, თუ რა ახალ მხატვრულ ხერხებს ეძიებს და პოულობს კიდეც ეს ნიჭიერი კოლექტივი, — გვეუბნება სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, — მსახიობთა ანსამბლი ძირითადად ახალგაზრდულია, ისინი შესანიშნავ სახეებს ქმნიან და ზედმიწევნით აგრძელებენ იმ მდიდარ აქტიორულ ტრადიციებს, ლენინგრადს რომ ოდითგანვე გააჩნია.

ლენინგრადელთა შთამბეჭდავი ხელოვნება უკვე მრავალმა თბილისელმა ნახა. („კომუნისტის" კორ.).

# მეგობრობის მუსიკალურ ტალღაზე

**სოხუმი.** დიდ სამამულო ომში დაღუპულ კავკასიონის უღელტეხილების მამაც დამცველთა ხსოვნის პატივსაცემად ჟღერდა ამ გაზაფხულის საღამოს მოცარტის „რეკვიემი" აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში.

ეს უკვდავი ნაწარმოები პირველად შესრულდა ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა დიდმა გუნდმა და სიმფონიურმა ორკესტრმა.

სოხუმში დაწყებული თბილისის კონსერვატორიის დღეები მკაფიო მოვლენა გახდა მრავალეროვანი აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში. მოუთმენლად მოელიან ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლას ავტონომიური რესპუბლიკის ექვსივე რაიონული ცენტრისა და ქალაქების მცხოვრებნი, 140-ზე მეტი ჯანმრთელობის კერის დამსვენებლები — მუსიკის ენა ხომ ყველასათვის გასაგებია.

მუსიკის დღესასწაულის, მეგობრობის დღესასწაულის დღეებში თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლები და სტუდენტები ეწვივნენ აფხაზეთის დედაქალაქის სამუსიკო სკოლებს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გაიმართა სოხუმის ბავშვთა № 1 სამუსიკო სკოლაში.

ავტონომიური რესპუბლიკის უძველესი სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეებს ესტუმრნენ კონსერვატორიის რექტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ს. ცინცაძე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი პ. ხუჭუა, ვოკალური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ვ. აჩბა. მათ ახლდნენ კონსერვატორიის სტუდენტები, რომლებმაც აქ გამართეს კონცერტი. ახალგაზრდა შემსრულებლებისათვის ეს ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იყო აფხაზეთის ფილარმონიის დარბაზში ფართო აუდიტორიის წინაშე მომავალი გამოსვლების წინ.

სტუმრებს მიესალმა სკოლის დირექტორი ი. იმანოვი. მან სიამაყით აღნიშნა, რომ კონსერვატორიის კურსდამთავრებულთა და მოსწავლეთა შორის არიან სოხუმის პირველი სამუსიკო სკოლის აღზრდილები.

კონსერვატორიის კოლექტივის სახელით დამსწრეთ მიესალმა ვ. აჩბა. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთ შეხვედრებს, როცა მუსიკალური კულტურის მხცოვან მოღვაწეებს შეუძლიათ უშუალოდ გაეცნონ თავიანთ ცვლას. საქინფორმის კორესპონდენტი სიტყვას აძლევს შეხვედრის მონაწილეებს.

**მ. ხაშბა — მუსიკათმცოდნე:** თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია სამართლიანად არის საქართველოს მუსიკალური განათლების ფლაგმანი. აქ თავმოყრილია შესანიშნავი ძალები, ცოცხლობს და მტკიცდება ბრწყინვალე ტრადიციები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის პროფესიული მუსიკალური ხელოვნებაც დიდად დავალებულია თბილისის კონსერვატორიისაგან. ჩვენი წამყვანი კომპოზიტორები და შემსრულებლები მისი აღზრდილები არიან. კონსერვატორიის წარმომადგენლები აფხაზეთის სამუსიკო სასწავლებლების ხშირი სტუმრები არიან: ყურადღებით ადევნებენ თვალს ისინი მოძმე აფხაზი ხალხის სულიერი ცხოვრების ამ სფეროს, ეხმარებიან მას მეტი სისრულით გამოავლინოს თავისი ნიჭი.

**ე. ადამია — ხოხუმის მე-8 საბავშვო სამუსიკო სკოლის პედაგოგი:** ამ დღეებში, როცა აფხაზეთის დედაქალაქი მასპინძლობს თბილისის კონსერვატორიის წარმომადგენლებს, უნებლიეთ ვფიქრობ იმაზე, რომ ეს შეხვედრა გაგრძელებაა იმ მჭიდრო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობისა, რომელიც აი უკვე მრავალი წელია არსებობს თბილისისა და აფხაზეთის მუსიკალურ საზოგადოებრიობას შორის. რესპუბლიკის მუსიკალური კულტურის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები ხშირად იმყოფებიან აფხაზეთში, შთაგონების წყაროს ეწაფებიან აქ და ასევე გულუხვად უბრუნებენ მას თავისი შრომის ნაყოფს.

# ამერიკული ბალეტის მამამთავარი

**ჯორჯ ბალანჩინის გარდაცვალების გამო**



მსოფლიო საბალეტო ხელოვნებისათვის ჭეშმარიტად დიდი დანაკლისია გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძის გარდაცვალება. ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის უფროსი ვაჟიშვილი საყოველთაოდ ცნობილი გახდა ჯორჯ ბალანჩინის ფსევდონიმით.

ჯორჯ ბალანჩინმა საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო საბალეტო ხელოვნებაში, მას არასოდეს უღალატია რუსული საბალეტო სკოლის პრინციპებისათვის, რუსული კლასიკური სკოლის წარმომადგენლად მიაჩნდა თავი.

„პეტიპას ესთეტიკურ მიდგომას მე ვთვლი ნებისმიერი საბალეტმაისტერო მუშაობის აბსოლუტურ ნორმად" — ბალანჩინის ეს განაცხადი სავსებით ნათელყოფს მის შეხედულებას საბალეტო ხელოვნებაზე.

პეტროგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებულმა საფრანგეთში უკვე 20-იან წლებში გაითქვა სახელი ჯერ როგორც დიაგილევის დასის ბალეტმაისტერმა, ხოლო შემდეგ სხვადასხვა რუსული საბალეტო დასის ხელმძღვანელმა. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო ხელოვნების დიდი მცოდნის ლინკოლნ კერსტეინის გადაწყვეტილება, — ამერიკაში საბალეტო დასის გახსნასთან დაკავშირებით ხელმძღვანელად ჯორჯ ბალანჩინი მიეწვია. სინამდვილეში ამერიკულ ბალეტს არ გააჩნია საკუთარი ტრადიციები, საბალეტო სკოლა, — ბალანჩინის მიწვევამ განსაზღვრა ამერიკაში ეროვნული საბალეტო სკოლის შექმნა. 1948 წელს ცნობილ ნიუ-იორკ სიტის ცენტრში აშენდა ახალი მეტროპოლიტენ-ოპერა, ფილარმონიის დიდი დარბაზი და სპეციალური საბალეტო თეატრი საგანგებოდ ბალანჩინის საბალეტო დადგმებისათვის.

ნახევარი საუკუნის მანძილზე (1933 წლიდან 1983 წლამდე) ბალანჩინი იყო და დარჩა ამერიკული ბალეტის მამამთავრად.

ბალანჩინის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩაიკოვსკის შემოქმედებას. 1954 წელს მან დადგა ბალეტი „მაკნატუნა", საერთოდ, ჩაიკოვსკის მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობა მრავალჯერ გახდა ბალეტმაისტერის შთაგონების წყარო.

წარმატებით დადგა მან პროკოფიევის ბალეტი „ძე შეცთომილი". ბალანჩინის დადგმული აქვს სტრავინსკის 27 ბალეტი, მათ შორის „აპოლონ მუსაგეტი", „ფერიის კოცნა", „ორფეოსი", „ფასკუნჯი", „კონცერტი ვიოლინოსათვის რე მაჟორი", „პულჩინელა" და სხვა.

ბალანჩინის შემოქმედებითი ამპლუა ერთაქტიანი სიუჟეტური ბალეტებია, რომლებიც შექმნილია მსოფლიო კლასიკური მუსიკის მონაპოვართა საფუძველზე. სწორედ აქ იჩინა თავი ბალანჩინის ცეკვის ენის დახვეწილობამ და სრულყოფილებამ.

მე ბედნიერება მქონდა რამდენჯერმე შევხვედროდი თანამედროვე ქორეოგრაფიის ამ უდიდეს წარმომადგენელს. ორჯერ ჩვენთან, საქართველოში გასტროლების დროს, ხოლო 1964 წელს ნიუ-იორკში, საბჭოთა ბალეტის ოსტატთა ჯგუფის გასტროლების დროს ბალანჩინმა მიმიწვია თავის თეატრში სპექტაკლ „ფასკუნჯზე".

ვისაც წილად ხვდა 1962 და 1972 წლებში დასწრებოდა ბალანჩინის საბალეტო სპექტაკლებს საქართველოში, მისთვის დაუვიწყარი იქნება ჭეშმარიტი ხელოვნებით მიღებული სიამოვნება.

**ზურაბ კიკალეიშვილი,**
**ორგზის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ბალეტმაისტერი.**

# დედამ რო შვილი გაზარდოს...

**ლაპარაკობენ დაღუპული გმირები**

**სამშობლო,** საბჭოთა ხალხი, არასოდეს დაივიწყებს და ჯეროვან პატივს მიაგებს ყველას, ვინც თავი გასწირა ჩვენი სიცოცხლისათვის, მშვიდობის, ბედნიერი მომავლისათვის.

რედაქციის ფოსტაში უამრავი წერილია, რომელთა ავტორები გვთხოვენ მოვაძებნინოთ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში დაღუპული შვილები, მამები, ძმები, ახლობლები. ისინი გვიგზავნიან თავიანთი ოჯახის უძვირფასეს დოკუმენტებს — დრო-ჟამისაგან გაცრეცილ სამკუთხა ბარათებს, ადგილ-ადგილ ცრემლს რომ გადაურეცხავს, სამხედრო ფორმაში გადაღებულ ჯგუფურ ფოტოებს თუ პორტრეტებს, გვთხოვენ მათს გამოქვეყნებას: იქნებ ვინმე გადაურჩა იმ უბედურ ჟამს ცოცხალი და რაიმე გვაუწყოსო ჩვენს ახლობლებზე.

ამ ჯარისკაცული წერილებიდან მთელი უშუალობით ჩანს, როგორი იყვნენ სამშობლოსათვის თავგანწირული გმირები, როგორ უყვარდათ ცხოვრება, თავიანთი ახლობლები, რა დიდი რწმენა ჰქონდათ, რომ ფაშიზმი დამარცხდებოდა და შინ გამარჯვებულნი დაბრუნდებოდნენ. ბევრმა იცოდა, რომ ძნელი იყო იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გადარჩენოდა, მაგრამ შინ, ახლობლების გასამხნევებლად, ოპტიმიზმით აღსავსე წერილებს იწერებოდა. მათ ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი მომავალი ცხოვრება. ბევრჯერ გაოცებთ კიდეც იმ თვრამეტი-ოცი-ოცდაორი წლის ჭაბუკების ნაადრევი დაბრძენება, ასე სადად რომ მსჯელობენ ცხოვრების ავ-კარგზე — ყოველი კაცი მოკვდავია, უნდა იცხოვრო ისე, როგორც შეჰფერის სამშობლოს ერთგულ შვილს, როგორც შეჰფერის ღირსეულ მამულიშვილსო...

დიახ, მხოლოდ წერილებიღა შემორჩა დაღუპული გმირებისა, მაგრამ მათი თავგანწირვა უკვდავია, ისინი ცოცხალ ძეგლებად, ობელისკებად აღმართულან ჩვენი დიადი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, გმირების სახელები ჰქვია ქუჩებს, ბაღებს, სკოლებს, პიონერულ რაზმებს, ახალგაზრდულ ბრიგადებს. დრო-ჟამი შარავანდედით მოსავს მათს სახელებს.

**კაპიტან ალექსანდრე ორჯონიკიძის წერილი**

**„საყვარელო დედა!**
**1943 წ. 27/IV, სამხრეთ დასავლეთის ფრონტი.**

**ძალიან დიდი ხანია თქვენი წერილი არ მიმიღია. წერილებს ვგზავნი და პასუხს კი ვერ ვიღებ. ვერ წარმოიდგენ, დედავ, ჩემთვის რა სახიხარულოა მაქაური ამბების გაგება. დღეს 27 აპრილია, ცოცხალი ვარ. თავს კარგად ვგრძნობ, ვნატრულობ თქვენს ნახვას, მაგრამ კარგად იცი, ხანამ მტერს არ დავამარცხებთ, სამშობლოს არ გავათავისუფლებთ ფაშისტი მტაცებლებისაგან, შინ ვერ დავბრუნდები.**

**დედიკო, მივიღე მთავრობის უდიდესი ჯილდო — სამამულო ომის ორდენი, კაპიტანის წოდება. ვცდილობ, არ შევარცხვინო სერგო ორჯონიკიძის მშობლიური კუთხე ღორეშა, არ შევარცხვინო ჩემი ოჯახი, ჩემი მშობლები.**

**დედა, რომ მნახო, იტყვი, ჩემი საშუალო შვილი მოხუცებულაო, ყოველ წუთში დაძაბული ნერვები ადამიანს ანახევრებს, ჭრილობამ ხულ გამტეხა, მაგრამ არა უშავს, ჩემო დედა, მალე გავანადგურებთ ჰიტლერელებს და გამარჯვებული დავბრუნდები, გავივლი მამაჩემის ეზო-გარემოში. ვეცდები მამაჩემის ნაშრომი და მისი სახელი მუდამ შეურცხვენელი იყოს.**

**აბა შენ იცი, ჩემო დედიკო, როგორ მარჯვედ იქნები. ნუ დაელოდები ჩემს წერილებს, მომწერე ხშირად, დარდს ნუ მიეცემი. ომი დამთავრდება და ყველანი ცოცხლები მოვბრუნდებით.**

**ვალუშა".**

ალექსანდრე (ვალუშა) ესტატეს ძე ორჯონიკიძე ხარაგაულის რაიონის სოფელ ღორეშაში დაიბადა. ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თავის მშობლიურ სოფელში ასწავლიდა ისტორიას. 1939 წელს იგი სავალდებულო-სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. აქ იგი კომისრად დაწინაურდა. ალექსანდრეს ოთხი ძმა ჰყავდა — რაჟდენი, სოსო, გიორგი და გივი, სამამულო ომის დაწყებისთანავე ხუთივე ძმა სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. სოსო ორჯონიკიძე ოდესაში იბრძოდა, 24 წლის უცოლშვილო ყმაწვილი მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.

ალექსანდრე ორჯონიკიძის საბრძოლო დამსახურებაზე ბევრი თბილი სიტყვა აქვს ნათქვამი მის თანამებრძოლს ივანე ბუიალოვს თავის წიგნში „ჩემი თანაპოლკელები სამშობლოსათვის ბრძოლებში".

**ავიაციის უფროსი ლეიტენანტის ვახტანგ ხიდეშელის წერილი**

**„გამარჯობა, ჩემო საყვარელო, ძვირფასო დედა! გიხურვებ ყოველივე კარგს და ჯანმრთელობას. დედა, მივიღე შენი წერილი, რამაც ძალიან, ძალიან გამახარა. ახლა ნათლად მაქვს წარმოდგენილი, რა უბედურება დაატრიალეს ფაშისტებმა ნალჩიკში.**

**ყველას დიდი სიამაყით ვუყვები შენს ამბავს, შენი გმირობის ამბავს, როგორ არ შეუშინდი მტერს. ყოველ წუთს საფრთხე გელოდა, შენ კი მოიქეცი ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი. დედა, მე ვამაყობ შენით. არც მე გაგიცრუებ იმედს. ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ვიბრძოლებ, ხანამ ფაშიზმი არ დამარცხდება, ხანამ მტერი არ იქნება ჩვენი მიწა-წყლიდან გაძევებული.**

**ძვირფასო დაო თამარ და ძმაო არკადი, როგორ ხართ. არკადი, გიხურვებ დაეუფლო იარაღის ისეთ მართვას, რომ გაანადგურო გერმანელი ფაშისტები. თამარ, შენ რომ ზურგში მუშაობ, ამით ფრონტს ეხმარები.**

**ვეცდები ცოცხალი დაგიბრუნდეთ.**

**მოკითხვა ყველას.**

**ვახტანგი, 1943 წ. 20/VIII".**

ვახტანგ გიორგის ძე ხიდეშელი, 1922 წელს დაბადებული, ცხოვრობდა ნალჩიკში. ომის დაწყებისთანავე იგი მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად. სწავლობდა საზღვაო-სამხედრო საავიაციო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ გაიგზავნა ლენინგრადის ფრონტზე.

როგორც რედაქციის სახელზე ნალჩიკიდან გამოგზავნილ წერილში ვახტანგ ხიდეშელის და თამარი გვწერს, მისი უკანასკნელი ბარათი 1943 წლის 28 სექტემბერს მიუღიათ, იმავე წლის ოქტომბერში იგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. თამარი გვაცნობებს, რომ ნალჩიკში, მათ სახლში ყოფილა ჩვენი ჯარების შტაბი, როდესაც ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია, მათთან დაუტოვებიათ გოგი ქართველი და რადისტი თამარ გოგოტაძე. გოგი თბილისელი ყოფილა, როცა საბჭოთა ჯარმა ნალჩიკი გაათავისუფლა, გოგი რამდენიმე ხანს ისევ ნალჩიკში იყო, მას შემდეგ მისი არაფერი იციან. ცოცხალი რომ იყოს, ალბათ, დედაჩემის — ოლღას სახლს არ დაივიწყებდაო.

აი, მხოლოდ ასეთი ძუნწი ცნობები გვაქვს ამ 21 წლის მფრინავის ვახტანგ გიორგის ძე ხიდეშელზე.

**ჯარისკაც ქრისტეფორე ლაზარაშვილის წერილი**

**„სალამი, შვილო თამარ!**

**გიხურვებ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას, მომიკითხე დედაშენი, აგრეთვე ბავშვები, ეთერი, შურა, ფილე, რობინზონი, ყველანი დამიკოცნე.**

**ჩემს ამბავს თუ იკითხავ, კარგად ვარ. შვილო, თამარ, ალბათ გაინტერესებს სევასტოპოლის ფრონტის მდგომარეობა. გაზეთებში წაიკითხავდი, რომ სევასტოპოლის მისადგომებთან გაამწვავდა ბრძოლებია. პირსისხლიანმა ფაშისტებმა 25-26 მაისიდან დაიწყეს საჰაერო შემოტევა, რომელიც ათ დღეს გაგრძელდა. მაგრამ ჩვენ სერიოზული ზარალი არ მიგვიღია, რადგან ისეთი სიმაგრეები გვაქვს, მტერი ვერას გვაკლებს. აქ ერთად ვიბრძვით ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ბევრი მათგანი მთავრობის ჯილდოზე წარდგენილი. ალბათ, წაიკითხავდი გაზეთში, რომ სევასტოპოლის დამცველები გმირობის ეტალონად არიან მიჩნეული. ჩვენ ეს დავიმსახურეთ მედგარი ბრძოლით. ჩვენი ლოზუნგია: ან სიკვდილი ან გამარჯვება! სევასტოპოლი იყო და იქნება საბჭოეთისა! სევასტოპოლთან უნდა დაიწყოს საბჭოთა ყირიმში შემოჭრილი პირსისხლიანი ფაშისტების განადგურება. ეს მალე იქნება, საბჭოთა ყირიმის ნახევარკუნძული მალე განთავისუფლდება ფაშისტი კაციჭამიებისაგან...**

**ახე, შვილო თამარ, იყავით კარგად, მოკითხვა ყველა ნაცნობ-მეგობრებს, დაე, სუყველამ თავის ადგილზე ერთგულად იმუშაოს. თქვენი რაიონის კოლმეურნეთა მუშაობა ჩვენი გამარჯვების საწინდარია და რაც უფრო ენერგიული და ნაყოფიერი იქნება ეს მუშაობა, მით უფრო მალე გავანადგურებთ მტერს.**

**გწერს მამაშენი ქრისტეფორე ლაზარაშვილი.**

**1942 წ. 22. VI სევასტოპოლი".**

ჩვენი გაზეთის შარშანდელ აგვისტოს ნომერში სამამულო ომის თემაზე გამოქვეყნებულ წერილების მიმოხილვაში თქვენ გაეცნობოდით გადამდგარი პოდპოლკოვნიკის ფ. მოროზის ნაამბობს. იგი იწერებოდა, ვინ იყვნენ ომის დაწყების პირველსავე ბრძოლებში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ უგზოუკვლოდ დაღუპული გმირები და როგორ იმარხებოდნენ ისინი, ჭურვებისაგან ამოთხრილ ორმოებსა თუ სახელდახელოდ გათხრილ მიწაში, სადაც სათანადო ნიშნის დასმასაც ვერ ასწრებდნენ. მათ შორის გამოყოფდა ლეიტენანტ ლაზარაშვილის გმირულ ბრძოლას.

წერილის გამოქვეყნების მეორე დღესვე რედაქციაში ლეიტენანტ ილია ლაზარაშვილის ქალიშვილი ლუიზა გვესტუმრა. მან მოგვიტანა მამამისის ფოტოსურათი და ის სამხედრო საბუთები, რომელთა შესახებაც მოროზის წერილში იყო საუბარი. ახალქალაქიდან ჩამოვიდა ილია ლაზარაშვილის ძმისშვილი თამარი, რომელმაც უფრო დაწვრილებით გაგვაცნო ილიასა და მათი ძმების საბრძოლო დამსახურება. სწორედ იმ ქრისტეფორე ლაზარაშვილის ქალიშვილი გახლავთ თამარი, რომლის წერილიც ზემოთ გვაქვს მოყვანილი. ქრისტეფორე ლაზარაშვილი დაიბადა ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაში გლეხის ოჯახში. 1924 წელს გახდა სკკპ წევრი. იყო ახალქალაქის რაიონული გაზეთის რედაქტორი, ახალქალაქის სტამბის დირექტორი, სახალხო მოსამართლე, 1941 წლის აგვისტოში თავისი სურვილით წავიდა ფრონტზე. შინ დარჩნენ მეუღლე და ექვსი მცირეწლოვანი შვილი. დაიღუპა 1942 წლის ივლისში სევასტოპოლის დაცვისათვის ბრძოლებში.

**კაპიტანი კარლო გელბახიანის წერილი**

**„ძვირფასო ძმაო!**

**მივიღე შენი 1944 წლის 17 აგვისტოს დაწერილი წერილი, რამაც ძალიან გამახარა. ვიცი, გაინტერესებს ჩემი ამბავი. კარგად ვარ. გახსოვს ჩვენი შეხვედრა სანგარში, ძლივს რომ ვიცანით ერთმანეთი? პიმენ! ვიმყოფები პოლონეთში, ვარშავიდან ჩრდილოეთით, პრუსიის საზღვრის ახლოს. როდის ჩავაძაღლებთ ამ საზიზღარ ფაშისტებს და დავბრუნდებით სახლში! მამაჩემის წერილი თუ მიიღე. ეტყობა, მოხუცს უჭირს მუშაობა, იწერება, როდის დაბრუნდებით შენ, პიმენი და გურგენიო. ის კი არ იცის, როგორ გვინდა ჩვენც მშობლიური კუთხის ნახვა, მაგრამ რას იზამ, ხანამ ფაშიზმი კიდევ სადმე ბოგინებს, უნდა მოვსპოთ, მერე კი სახლში ერთად ვიზეიმებთ გამარჯვებას.**

**გადაეცი მოკითხვა ყველას, შენს ამხანაგებს, მე რომ მაშინ დამიჭირეს და შენთან მომიყვანეს.**

**მაგრად გართმევ ხელს, შენი ძმა კარლო.**

**1944 წ. 20. IX".**

კარლო პლატონის ძე გელბახიანი დაიბადა 1923 წელს. თბილისის მე-14 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ჯარში. სწავლობდა თბილისის საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე. მან მონაწილეობა მიიღო სტალინგრადის ბრძოლებში, სადაც მძიმე ჭრილობა მიიღო. რედაქციის სახელზე გამოგზავნილ მის საბუთებში ვნახეთ-საარტილერიო ასეულის მეთაურის, უფროსი ლეიტენანტის კარლო პლატონის ძე გელბახიანის II ხარისხის სამამულო ომის ორდენით დაჯილდოების მოწმობა. მისი ძმის, პიმენ გელბახიანის წერილიდან ვიგებთ, რომ ფრონტზე 1943 წლის 23 თებერვალს პოჩეპთან ძმები სრულიად მოულოდნელად შეხვედრიან ერთმანეთს. კარლო გელბახიანი ჰოსპიტლიდან თავის ნაწილში ბრუნდებოდა, როცა იგი ღამით გუშაგებმა შეიპყრეს და თავიანთ მეთაურს მიჰგვარეს. ეს მეთაური მისი უფროსი ძმა პიმენი აღმოჩნდა, იგი ჯერ კიდევ 1939 წელს იყო სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული და ოთხი წლის უნახავი ძმები ახლაღა შეხვდნენ ერთმანეთს. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ამ შეხვედრის შესახებ თბილისში წერილიც გამოუგზავნეს მშობლებს, მაგრამ ეს შეხვედრა უკანასკნელი აღმოჩნდა.

1944 წლის 31 ოქტომბერს 21 წლის კარლო გელბახიანი გმირულად დაიღუპა პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და თან წაიღო მშობლიური მხარის უსაზღვრო სიყვარული, აუხდენელი ოცნებები.

**პოლკოვნიკ ალექსანდრე კუსრაშვილის წერილი**

**სალამი ჩემს თამრიკოს!**

**უპირველეს ყოვლისა გიხურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. მე მოსკოვის მიდამოებს ვიცავ და დავიცავ საყვარელ სამშობლოს დედაქალაქს საზიზღარი ფაშისტებისაგან. მტერს ისეთ დღეს ვაყრით, რომ სულ თავზედს ვაწყევლინებთ. სულით და გულით ვუსურვებ ჩემს საყვარელ სამშობლოს სიხარულს და მტერზე გამარჯვებას. მომილოცია დიადი ოქტომბრის გამარჯვების 24-ე წლისთავი (7 ნოემბერი). ...სტალინი მოსკოვშია და, მაშასადამე, მოსკოვი ჩვენია, იგი არასოდეს არ გახდება მტრისა. ვიბრძოლებთ, ხანამ გამხეცებულ მტერს არ განვდევნით ჩვენი მიწა-წყლიდან. ახლა ბრძოლა უფრო გამწვავდა. საბჭოთა ხალხი მტერს არასოდეს არ დაემონება. სიკვდილი ან გამარჯვება! — აი ჩვენი ლოზუნგი. დამიკოცნე შვილები, მოკითხვა ყველას.**

**შენი საშა.**

**1941 წ. 5. XI".**

პოლკოვნიკი ალექსანდრე (საშა) დიმიტრის ძე კუსრაშვილი, დაბადებული 1903 წელს თბილისში, 1926 წლიდან სკკპ წევრი, სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან ჩაება მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი იბრძოდა სმოლენსკთან, ვიაზმასთან, დოროგობუჟთან, მოსკოვთან, ქ. ელნის აღებისა და გერმანელი ჯარების ელნის პლაცდარმის განადგურების აქტიური მონაწილეა. რამდენჯერმე იყო დაჭრილი, მაგრამ იგი თავის საკომანდო პუნქტს არ ტოვებდა, განაგრძობდა ბრძოლის ხელმძღვანელობას. მიღებული ჰქონდა უმაღლესი მთავარსარდლის მადლობები, მთავრობის სამი ჯილდო. აი, რას წერდა მის შესახებ საფრონტო გაზეთი „სტალინსკაია ზვეზდა". „ა. კუსრაშვილის 1140-ე მსროლელმა პოლკმა გერმანელებისგან დაიცვა ქ. ბორსკი, მოსკოვთან ჩვენი ჯარების შეტევის დროს. მარტო სამი დღის განმავლობაში გაათავისუფლეს 12 დასახლებული პუნქტი, ხელთ იგდეს მტრის 80 ავტომანქანა, 17 ქვემეხი, 121 ავტომატი. 250.000 ვაზნა, ათასობით ნაღმი... გაანადგურეს გერმანელთა 131 დივიზიის 432 პოლკის შტაბი".

რედაქციის სახელზე გამოგზავნილი 1140-ე პოლკის კომისარი ი. იუმაშევი იტყობინება: „ეს იყო 1942 წლის 15 თებერვალს. ა. კუსრაშვილმა მიიღო მძიმე ჭრილობა მუცლის არეში. იგი საკაცეზე ესვენა და ისე ხელმძღვანელობდა დაჭრილი ჯარისკაცების ზურგში ევაკუაციას. მეც მძიმედ ვიყავი დაჭრილი. კუსრაშვილმა ყველაფერი იღონა, რომ მე თვითმფრინავით ჰოსპიტალში გავეგზავნე, თვითონ კი არ, დატოვა. თავისი საკომანდო პუნქტი, როგორც შემდეგ შევიტყვე, მძიმე ბრძოლაში, უშიშარი პოლკოვნიკი თავის ერთგულ მებრძოლებთან ერთად დაიღუპა".

ოჯახს კი პოლკოვნიკ ალექსანდრე კუსრაშვილის მხოლოდ უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობა აქვს მიღებული.

აი ასეთნი იყვნენ სამშობლოსათვის დაღუპული გმირები, რომელთა ნათელი ხსოვნა ყოველთვის იქნება ხალხის გულში, მათ სახელს ყოველთვის დიდებით მოიხსენიებს შთამომავლობა.

**ლარისა ხუბულური.**

რეპორტაჟი მოვლენის ადგილიდან




# საჰაერო ხიდი: თბილის-დრეზდენი

**ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 84 ქვეყნის ასზე მეტი აეროპორტია დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან მსოფლიოს უდიდესი ავიაკომპანიის — აეროფლოტის თვითმფრინავების რეგულარული რეისებით. 7 მაისს მოსკოვის დროით 9 საათსა და 45 წუთზე თბილის-დრეზდენის მარშრუტით მიმავალი ტუ-405 რეისით გაიხსნა კიდევ ერთი რეგულარული საერთაშორისო ავიახაზი.**

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ყველა ეკიპაჟმა, რომლებიც მოემსახურებიან ამ საერთაშორისო ავიახაზს, სწავლების სპეციალური კურსი გაიარა.

— როცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას გადავუფრენთ, დისპეტჩერებს უთარჯიმნოდ ველაპარაკებით, — თქვა ხომალდის მეთაურმა ზ. ა. მიქელაძემ. — პირველად როდი ვასრულებ საერთაშორისო რეისს.

— გაისად გათვალისწინებულია კიდევ ერთი საერთაშორისო ხაზის ათვისება, — ჩაება საუბარში სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს საჰაერო მიმოსვლის ცენტრალური სააგენტოს უფროსი გ. ა. კალანდარიშვილი. — ეს იქნება თბილის-ბუდაპეშტის რეისი, რომელსაც აგრეთვე ჩვენი სამმართველოს ეკიპაჟები შეასრულებენ.

7 მაისი, 9 საათი და 40 წუთია. ბედნიერ მგზავრობას უსურვებენ თბილის-დრეზდენის რეისის პირველ მგზავრებს სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს უფროსი ა. ი. ზედგინიძე, სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტის" თბილისის გაერთიანების გენერალური დირექტორი ო. ბ. სიმაშვილი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ელიგულაშვილი და სხვა გამცილებლები.

ორი პატარა ინტერვიუ თვითმფრინავის ტრაპთან. **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტურისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი, პენსიონერი, ბერლინელი რუდი ლიტმანი:**

— საქართველოში ყოფნისას გავეცანით მის ღირსშესანიშნაობებს, ვიყავით თელავში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებებით მივემგზავრებით.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი შ. გ. აბზიანიძე:**

— მივლინებით მივფრინავ იენის უნივერსიტეტში, სადაც შევხვდები გერმანელ ამხანაგებს, რომლებთანაც ერთად ჩვენი კათედრა ამუშავებს ერთ-ერთ სამეცნიერო თემას.

მგზავრები ადგილებს იკავებენ. ლაინერი ასაფრენ ზოლზე გადის. აგუგუნდა ძრავები, და რამდენიმე წუთის შემდეგ ტუ-154 დილის ნისლში იმალება.

**ბ. ბაზაევი,**
**(საქინფორმის კორ.).**

**სურათზე:** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტურისტები — თბილის-დრეზდენის რეისის პირველი მგზავრები.
ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# გეორგიევსკის ტრაქტატს მიეძღვნება




**ასეთი** საინტერესო საჭადრაკო ტურნირი ჩვენთან კარგა ხანია არ გამართულა. იგი ეძღვნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. საქართველოს 8 უძლიერეს მოჭადრაკესთან ერთად ტურნირში მონაწილეობენ თანამედროვე ჭადრაკის ერთ-ერთი კორიფე ე. გელერი (მოსკოვის ოლქი) და ახალგაზრდა დიდოსტატი ა. მიხალჩიშინი (ლვოვი), რომლებიც თბილისში რამდენადმე მოგვიანებით ჩამოვლენ. ამიტომ „შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ა. კუპავამ წილისყრისას სატურნირო ცხრილში მათ პირველი და ბოლო (მეათე) ნომრები შეუნახა.

აი, როგორ გამოიყურება ეს ცხრილი: 2. დიდოსტატი ბ. გურგენიძე, 3. საერთაშორისო ოსტატი ზ. სტურუა, 4. ოსტატი გია გიორგაძე, 5. დიდოსტატი ე. გუფელდი, 6. საერთაშორისო ოსტატი ე. უბილავა, 7. საერთაშორისო ოსტატი გ. ზაიჩიკი, 8. ოსტატი ზ. აზმაიფარაშვილი, 9. დიდოსტატი თამაზ გიორგაძე. მაშასე, შეჯიბრებაში მონაწილეობს 5 დიდოსტატი, 3 საერთაშორისო ოსტატი და 2 ოსტატი — ჩინებული შემადგენლობაა.

პირველ ტურში გაიმართა მხოლოდ 4 პარტია. ოთხივე მათგანი მეტისმეტად მძაფრად მიმდინარეობდა. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ დამთავრდა მხოლოდ ორი. გურგენიძე-თ. გიორგაძის შეხვედრაში შავებმა ე. წ. ვოლგის გამბიტს მიმართეს, სადაც ნაადრევ სტადიაში სწირავენ პაიკს. დაფაზე წარმოიქმნა მეტად საინტერესო პოზიცია ორმხრივი მდიდარი ტაქტიკური შესაძლებლობებით. თეთრების ცენტრალური პაიკი, როგორც გამოირკვა, არასაკმარისად იყო დაცული, რამაც გიორგაძეს ფიგურის შეწირვის საშუალება მისცა. ცენტრში დარჩენილი თეთრი მეფის დაცვა ძნელი საქმე გახდა. გურგენიძე შეეცადა გადაეჯგუფებინა თავისი ძალები, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და თ. გიორგაძემ, რომელმაც ზუსტად წარმართა იერიში, გაიმარჯვა. აზმაიფარაშვილმა, რომელიც შავებით ეთამაშებოდა სტურუას, მიმართა უფმცევის დაცვას, რითაც მან ამ ცოტა ხნის წინათ ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვთან პარტიაში. ამჯერად ბრძოლამ სულ სხვა ხასიათი მიიღო: შუა თამაშში წარმოიშვა რთული პოზიცია, სადაც უპირატესობა სტურუას მხარეს იყო. გაცვლებმა ვერ შეამსუბუქა შავების მდგომარეობა. სტურუამ დიდი მატერიალური უპირატესობა მოიპოვა და მოიგო. ორი პარტია გადაიდო. ზაიჩიკს ზედმეტი ხარისხი აქვს გ. გიორგაძესთან, ხოლო ე. გუფელდს ფიგურა ორ პაიკში უბილავასთან.

**გ. გამრეკელი.**

# ფეხბურთის ამბები

**გუშინ** გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის კიდევ ოთხი მატჩი. გთავაზობთ შედეგებს: ცსკა-მინსკის „დინამო" — 0:1, „ნეფთჩი"-მოსკოვის „დინამო" — 1:1, „არარატი"-„ნისტრუ" — 1:0, ქუთაისის „ტორპედო"-„ჩერნომორეცი" — 1:3.

**გუშინვე** მოეწყო პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მერვე ტურის შეხვედრები. ლანჩხუთის „გურიამ" მიიღო დუშანბეს „პამირი". გაიმარჯვა „გურიამ" — 2:0.

გაზეთ „კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 9 მაისს.

**რედაქტორი**
**გ. ბედინეიშვილი.**

# მოძმე ჩეხოსლოვაკიის წიგნები

**ეროვნულ** დღესასწაულს—ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 38 წლისთავს ეძღვნება საბჭოთა კავშირში მიმდინარე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წიგნის დეკადა. იგი 6 მაისს გაიხსნა უცხოური ლიტერატურის საკავშირო სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. აქვეა განლაგებული წიგნის საილუსტრაციო ექსპოზიცია „კულტურული მშენებლობა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში".

ჩვენს ქვეყანაში დიდი პოპულარობა აქვთ მოხვეჭილი კ. ჩაპეკის, ი მერუდას, მ. პუიმანოვას, სხვა ავტორების ნაწარმოებებს. გამოჩენილი ჩეხი მწერლის ი. ჰაშეკის დაბადების 100 წლისთავისათვის „მხატვრული ლიტერატურის" გამომცემლობამ გამოუშვა მისი თხზულებების, ექვსტომეული. უკანასკნელ გამოცემებს შორის არის აგრეთვე ანტიფაშისტი მწერლის ი. ფუჩიკის ადრეულ ნაწარმოებთა ორტომეული. სსრ კავშირის ხალხთა 42 ენაზე გამოდის ჩვენს ქვეყანაში ჩეხოსლოვაკიელ ლიტერატორთა წიგნები. ომისშემდგომ პერიოდში გამოვიდა დაახლოებით 2500 დასახელების წიგნები, რომელთა საერთო ტირაჟი 120 მილიონს შეადგენს.

მოსკოვის გარდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წიგნის დეკადა მოეწყობა ლენინგრადში, ვოლგოგრადში, კიევში, ტაშკენტში, ალმა-ათაში, თბილისში, რიგაში და სხვა ქალაქებში. დეკადის პროგრამაშია წიგნის გამოფენა-ვაჭრობა, მკითხველთა საღამოები.

**ტელევიზია**

**8 მაისი**

## მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია". 9.45 — მოსკოვის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. 10.30 — მალვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — „დილის ფოსტა". 12.35 — „სტალინგრადელები". დოკუმენტური ტელეფილმი. 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — გამარჯვებულნი. ფრონტელ მეგობართა კლუბი. 16.00 — სსრ კავშირის თასი ფეხბურთში. ფინალი. დონეცკის „შახტიორი" — ხარკოვის „მეტალისტი". 18.35 — მულტფილმები. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — სსრ კავშირის სახალხო არტისტის კ. შულჟენკოს კონცერტი. 20.35 — „ბრძოლა ბერლინისათვის". მხატვრული ფილმი კინოეპოპეიდან „განთავისუფლება". 22.00 — „ვრემია". 22.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.05 — დოკუმენტური ეკრანი. 00.15 — ევროპის ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. ქალები. 00.45 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 და 19.00 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.00. — „შენ ვერავინ შეგცვლის". მხატვრული ტელეფილმი. 11.05 — ბავშვთა მხატვრული კოლექტივების კონცერტი. 11.35 — ცხოველთა სამყაროში. 12.35 — მულტფილმი. 13.35 — კონცერტი. 14.20 — სტადიონი ყველასათვის. 14.50 — ადამიანი — ქვეყნის ბატონ-პატრონი. 15.50 — კინომიმოხილვა. 16.05 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.35 — კინოპანორამა. 18.05 — ფილმ-კონცერტი. 19.30 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო" — „სპარტაკი". შესვენების დროს (20.15) — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.30 — ევროპის ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. ქალები. 22.00 — „ვრემია" 22.35 — მხატვრული ფილმი „ისინი მსახიობები იყვნენ".

## თბილისი

**პირველი პროგრამა.** 9.00—„ვრემია". 9.40—ჩვენს დიად სამშობლოში"—სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტბიდან—ზღვამდე". 10.00 — „მოამბე". 10.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „იულკა, ვასკა და სხვები". 11.05 — „საესტრადო კონცერტი" — „მღერის ჯეო დასენი". 11.50 — „საკვირაო გამოფენა". 11.55—მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 12.25 — „საკვირაო გამოფენა". 12.30 — „რიტმი, რიტმი, რიტმი" — დილის გასართობი პროგრამა. 13.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქარცეცხლიან დღეთა ქრონიკა". 14.10 — საკვირაო გამოფენა. 14.15 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი , როლი". 16.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე: დონეცკის „შახტიორი" — ხარკოვის „მეტალისტი". რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან. შესვენებისას (16.45) — „ხვალ გამარჯვების დღეა" (სტუდიაშია ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი მ. საცკოვი). 17.45 — „ვესტნიკი". 18.15 — მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური სალებავი". 18.35 — საკვირაო გამოფენა. 18.40 — „თქვენი თხოვნით" — საზღვარგარეთის ესტრადის ოსტატები"— რაფაელა კარა. 19.00 — „მოამბე". 19.30 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო" — მოსკოვის „სპარტაკი". რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს — „ზღაპრის გუდა". 21.15 — „ხალხური სიმღერის ოსტატები" — მ. ჟიღაური. 22.00 — „ვრემია". 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.). 23.05 — ახალგაზრდობისათვის „და, მღერის გიტარა". 23.40 — ინტერვიუ მატჩის შემდეგ 24.00 — „ხვალ ტელეეკრანზე.

**თეატრი**

**8 მაისი**

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **დონ კიხოტი** (44-ე აბონ. მე-10 წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ძველი სამრეკლო** (დღისით), **შეშლილი, შეშლილი ახალი წელი** (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **დარისპანის გასაჭირი; უბედურება** (დღისით და საღამოს); თბილისის სახელმწიფო დრამატული — **კომბლე** (დღისით, მეორე აბონ. მესამე წარმ., საღამოს 21-ე აბონ. მე-6 წარმ.); კინომსახიობთა თეატრი — **ჩვენი პატარა ქალაქი;** აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ნატვრისთვალი** (დღისით), **სიმღერა მაინც დამიტოვეთ** (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — **ნაკრები;** მეტეხის თეატრი — **ეძიებდე.**

КОММУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07575 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20